

ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე

მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

მუსიკა 5

მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „წყაროსთვალი“

გამომცემლობა „კლიო“



ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე

მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

მუსიკა

V კლასი, მოსწავლის წიგნი

მუსიკალური რედაქტორი:
ირინე მიქაძე, მარინე დაფქვიაშვილი

ლიტერატურული რედაქტორი:
თამარ გუჯაბიძე, თეა პიტიურიშვილი

სანოტო ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მიხეილ ვანაძე, სოფო სალარაძე

ელექტრონული რესურსის უზრუნველყოფა,
ფონოგრამები და LMMS-ის აქტივობები – **მიხეილ ვანაძე**

დიზაინი და მხატვრობა: **ელენე ვარამაშვილი**
ყდის დიზაინი – **ირმა ლიპარტელიანი**

© გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2018

© გამომცემლობა „კლიო“, 2018

© ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე,
მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 9978-9941-441-73-8

შპს „გამომცემლობა წყაროსთვალი“
გარე კახეთის 4, თბილისი
მობ.: 599 76 10 39



შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. 181-2, თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

სარჩევი

● ზღაპრული სამყარო მუსიკაში

იყო და არა იყო რა	6
მუხა	8
მუჭანახევარა	10
გუთნისდედა და სოვდაგარი	13
გედების ტბა	16
ფასკუნჯი.....	19
მწყემსი და ჯუჯები.....	21
ზღაპარი	23
კუდიანი დედაბერი.....	25
სიმფონიური ზღაპარი	26
კიკიმორა.....	30
ზამთრის ფერია	33
ზღაპრის გმირები დღესასწაულზე	35
ნელინადის დრონი	38
ჰენზელი და გრეტელი	39
ჯადოსნური ფლეიტა.....	42
ვაშლის გულში	44
მძინარე მზეთუნახავი.....	46
ამოიცანი მოტივი	47
დედა ბატის ზღაპრები	49
მზეთუნახავი და ურჩხული.....	51
ზღაპრული თუ ყოფითი?	52
გამოიცანი ინტონაცია.....	54
საახალწლო ზღაპარი – შემაჯამებელი.....	55

● მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები

ტექნიკური ხმები – 1	56
ტექნიკური ხმები – 2	57
„ლუპი“ და „პატერნი“.....	58
ინტერვიუ დიჯეისთან	60
როგორ შევადგინოთ ლუპი?.....	62

● მუსიკის როლი მუნჯ კინოში

ლიმილი	63
დიდი ქალაქის ჩირაღდნები.....	65
დახატე მუსიკალური თანხლება	66



ქრონომეტრაჟი	67
გაახმოვანე კადრები – შემაჯამებელი გაკვეთილი	68
ვარიაცია	69

● მუსიკა დრამატულ თეატრში


თეატრი	70
„პერ გიუნტი“	71
ჭინჭრაქა	75
სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან.....	76

● მუსიკა პანტომიმის თეატრში

პანტომიმა	77
ასოციაცია თუ კონტრასტი?	78
სკეტჩი.....	79
დირიჟორი და საკრავები.....	80

● ქართული ხალხური საკრავები

ხალხური საკრავები	81
ქართული ხალხური საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი	82
სხვადასხვა ქვეყნის საკრავები	83
სხვადასხვა ქვეყნის საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი.....	85
ალპური საყვირი და ბანჯო.....	87
ინდური და ჩინური საკრავები	88
შემაჯამებელი გაკვეთილი.....	90
მარაკასი, გიტარა და კასტანეტები	91
სიმღერების ტექსტი	93
ლექსიკონი	101



პირობითი ნიშნები და მათი განმარტებები



იმუშავე კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში



იმღერე



მოისმინე



წაიკითხე და გაიხსენე



დაიმახსოვრე



უპასუხე კითხვებს



უყურე ვიდეოს

იყო და არა იყო რა...

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?... ასე იწყება ყველა ზღაპარი, რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარს...

ზღაპრები უძველესი დროის მითებიდან და ლეგენდებიდან იღებენ სათავეს. ისინი თაობიდან თაობას ზეპირად გადმოეცემოდა და ასე მოაღწიეს ჩვენამდე. ზღაპრები გვიყვებიან სიკეთესა და ბოროტებაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, გმირობასა და თავდადებაზე. ზღაპრების მიხედვით რეჟისორები იღებენ ფილმებს, მულტფილმებს, იდგმება სპექტაკლები. მათ სიუჟეტებზე კომპოზიტორები ქმნიან ოპერებს, ბალეტებს, რომელთა მუსიკას ჩვენ ზღაპრულ სამყაროში შევყავართ.

ზღაპრებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებში ავტორები სიტყვებისა და წინადადეგების მეშვეობით მოგვითხრობენ სხვადასხვა ამბებს, განწყობას, გადმოგვცემენ დადებითი და უარყოფითი გმირების სახეებს. მუსიკაში კი კომპოზიტორები მიმართავენ მუსიკალურ ხერხებს: მხიარულ მაჟორს ან სევდიან მინორს, სხვადასხვაგვარ ინტონაციას, მელოდიას, რიტმსა და ტემპს. ასე ქმნიან მუსიკალურ განწყობასა და გმირთა სახეებს.

გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი წიგნიც ზღაპრებით დაგვეწყოს.



მუსიკალური გაფორმება.

მოუსმინე ი. ს. ბახის ორ ნაწარმოებს: პრელუდია №1 დო მაჟორი. პრელუდია №2 დო მინორი.

შეარჩიე ორიდან ერთი ნაწარმოები და გააფორმე მუსიკალურად შენი საყვარელი ზღაპარი.



იოჰან სებასტიან ბახი

იოჰან სებასტიან ბახი (1685-1750) – ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი და ორგანისტი; დაიბადა ქ. ეიზენახში. ათი წლისა დაობლდა. მისი აღზრდა ითავა უფროსმა ძმამ იოჰან კრისტოფმა.


ბახი ცხოვრობდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში: ორდრუფში, ვაიმარში, კეტენში. ბოლო 24 წელი კი, ლაიპციგში გაატარა. იგი ავტორია 1000 მეტი კომპოზიციის. მათ შორისაა ნაწარმოებები სხვადასხვა საკრავებისთვის. ბახის საყვარელი საკრავი ორგანი იყო. დაკრძალულია ლაიპციგში წმინდა თომას ეკლესიაში, სადაც წლების მანძილზე ორგანისტად მუშაობდა.



კლასელებთან ერთად გამოსახე მეტრი და რიტმი.

დააკვირდი და ამოიცანი სხვადასხვა გრძლიობა. მოცემული გრძლიობებით შექმენი და შეასრულე რიტმული სურათი, რომელიც ზღაპრის კეთილ დასასრულს აღწერს. ჩანერე კომპოზიცია სანოტო რვეულში.

მთელი გრძლიობა



ნახევარი გრძლიობა



მეოთხედი გრძლიობა



მერვედები



მეთექვსმეტელები



ტრიოლი



მთელი გრძლიობის ნოტი
ითვლის 4 თანაბარ თვლას




ნახევარი გრძლიობის ნოტი
ითვლის 2 თანაბარ თვლას



მეოთხედი გრძლიობის ნოტი
ითვლის ერთი თვლას



ერთ თვლაზე ორი მერვედი
ჟღერს. არსებობს ქუდიანი (1) და
კუდიანი (2) მერვედები



ერთი თვლის მანძილზე ოთხი
მეთექვსმეტედი ასწრებს
გაჟღერებას. არსებობს ქუდიანი და
კუდიანი მეთექვსმეტელები



ტრიოლი – ერთი თვლის მანძილზე
სამი თანაბარი ბგერა ჟღერს



მუხა

მოუსმინე მასწავლებელს და გამოიცანი, როგორ მოძრაობენ ბგერები: ნახტომით, მეზობლად, თუ უახლოესი მანძილით.

ორ ბგერას შორის უახლოეს მანძილს **ნახევარი ტონი** ეწოდება. ორი ნახევარი ტონი გვაძლევს **ერთ მთელ ტონს**.


მუსიკაში არსებობს ძირითადი ბგერების შესაცვლელი ალტერაციის ნიშნები. ალტერაცია ლათინური სიტყვაა და **შეცვლას** ნიშნავს.

დიეზი # ბგერას ცვლის და ამაღლებს ნახევარი ტონით ზემოთ.

ბემოლი b ბგერას ცვლის და დადაბლებს ნახევარი ტონით ქვემოთ.

ბეკარი $\natural$, როგორც საშლელი, ისეთი ნიშანია – აბათილებს, შლის დიეზსაც და ბემოლსაც.

 იმდერე ბგერები დო-დან დო-მდე ალტერაციის ნიშნებით.



მოცემული სავარჯიშო გადაწერე სანოტო რვეულში. ყურადღება მიაქციე ალტერაციის ნიშნების მდებარეობას: ისინი ყოველთვის ნოტის წინ იწერება.



ნაიკითხე მოთხრობა, მოუსმინე მოცემულ მუსიკალურ ფრაგმენტებს და ხმებს: „მამლი მუხასა“ (მესხური), „თუშური“, „ბულბულს სტვენა“ (იმერული), „თოფის გასროლის ხმა“, „გაზაფხული“ (ქალაქური), ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის – „Ave verum corpus“.

გადაწყვიტე მოთხრობის რომელ ეპიზოდს, რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს ან ხმას შეუსაბამებ.



მუხა

ეს მუხა ტყის პირას დგას – ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოჟრილი, ფოთლებშეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს. იშვიათად თუ ეწვევა ვინმე – ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი. საუკუნეებით დაღლილს, განამებულს ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე, ისიც უძრავი, მრისხანედ მიშტერებული ველისკენ. ხანდახან კოდალაც მოინახულებს. სწრაფად, უგულოდ შემოუფრენს ირგვლივ, თითქოს ვალდებულების მოსახდელად ორიოდეჯერ დაჰკრავს ნისკარტს, – კიკიკო! – ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ. ციყვებმაც კი მიატოვენ და წავიდნენ... ამ რამდენიმე წლის წინათ მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, აყაყანდნენ: „არა მე გჯობივარ სროლაში, არა – მეო“. ერთი მონადირე წამოდგა და თქვა: „აი ბურთი და აი მოედანი!“. მუხის დიდ კოჟ რზე ასანთის კოლოფი დადო: „ვესროლოთო“. ზოგი ფეხმორთხმული ისროდა, ზოგი – წანოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით. მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოივსო.

გამოხდა ხანი – თვეები, წლები. და, აი, წლეულს, გაზაფხულზე, ის მონადირე, ასანთის კოლოფი რომ დადო მუხაზე, უკვე ჭარმაგი, პატარა შვილიშვილთან ხელჩაკიდებული, ისევ მოხვდა ამ ადგილებში. მუხის ნაჭრილობებში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა. მონადირის შვილიშვილმა, ლამაზმა, ყურებსიფრიფანა გოგონამ, აღტაცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა. მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა.

მასწავლებლის დახმარებით იმდერე საფერხულო სიმღერა „მამლი მუხასა“ და ქალაქური სიმღერა „გაზაფხული“.




მუჭანახევარა


► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

● იმდერეთ, გამოსახეთ მეტრი და რიტმი. შემდეგ, გაცვალეთ როლები.


I ჯგუფი მღერის



II ჯგუფი გამოსატყავს ტაშით რიტმს



III ჯგუფი გამოსატყავს ფეხის დარტყმით მეტრს



II ჯგუფი



I ჯგუფი



III ჯგუფი




III ჯგუფი



I ჯგუფი



II ჯგუფი





მოისმინე შემდეგი სიმღერები: „კიკოლიკო ზალიკო“ (იმერული), „კალოსპირული“ (კახური), „გაგნისა გორსა“ (თუშური), „ქართლური მაცრული“, „შავი შაშვი“ (გურული), „ხვარამზე“ (თუშური).

დაახასიათე და მოარგე სიმღერებს შემდეგი სიტყვები: დინჯი, მოძრავი, მხიარული, ენერგიული, სევდიანი.

წაიკითხე ქართული ხალხური ზღაპარი „მუჭანახევარა“ და იმსჯელე, ზღაპრის რომელ პერსონაჟსა და რომელ ეპიზოდს, შეიძლება მოარგო ჩანაწერში არსებული სხვადასხვა კუთხის სიმღერები.

მუჭანახევარა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ერთი ქოთანი ლობიოს მეტი არაფერი გააჩნდათ, მარილიც კი არ ჰქონდათ, ლობიოსთვის რომ მოეყარათ.

ცოლმა უთხრა ქმარს:

— ხომ ხედავ, მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუჭანახევარი მარილი!

— დამავიწყდება, — უპასუხა მეორე კაცმა, — მარილს კი დავიმახსოვრებ, მაგრამ მუჭანახევარისა კი რა გითხრაო.

— წადი და გზაზე სულ იძახე: „მუჭანახევარი, მუჭანახევარი“, და აღარ დაგავიწყდებაო, — ჭკუა დაარიგა ცოლმა.

იმანაც დაუჯერა და გზას გაუდგა, თან გაიძახოდა: — მუჭანახევარი, მუჭანახევარიო. გზაზე ერთი კაცი დაინახა, ყანა მოეხნა, ხორბალს თესავდა და თან ამბობდა: — ერთი ათასად, ერთი ათასადო! გაიარა მარილზე წამოსულმა და მიაძახა: — მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!



მთესველი გაბრაზდა: – მე ვითხოვ, ერთი ათასად მომივიდეს მოსავალი, შენ კი მუჭანახევარს ამბობო!

დაიჭირა მუჭანახევარა და მაგრად სცემა. გული რომ იჯერა, თავი დაანება. კაცმა ჰკითხა:

– რატომ მცემე, რა დაგიშავე, კინალამ რომ მომკალიო?

– იმიტომ გცემე, – უპასუხა მთესველმა, – რომ მე ვამბობდი – ერთი ათასად, და შენ კი – მუჭანახევარიო!

– მაშ, როგორ უნდა მეთქვაო?

– შენც გეთქვა, ერთი ათასად, ერთი ათასად და მადლობელიც დაგრჩებოდიო! – უპასუხა მთესველმა.

გაეცალა იმ სოფელს ნაცემი კაცი და სხვა სოფელს მიადგა. იქ ვილაც მომკვდარიყო. ჩაუარა შეკრებილ ხალხს მუჭანახევარამ და – ერთი ათასად, ერთი ათასადო! – მიაძახა.

ეს რომ გაიგეს, გამოუხტნენ მკვდრის პატრონები, ურტყეს და ურტყეს. გული რომ იჯერეს, თავი მიანებეს.

– რადა მკლავთ, თქვე ურჯულოებო, მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? – ჰკითხა მარილის მყიდველმა.

– როგორ და უნდა მოსულიყავი, ქუდი მოგეხადა და გეთქვა: ღმერთსა ვთხოვ, რომ ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახში-თქო! პატივსაც გცემდით და გაგისტუმრებდითო!

ნამოვიდა იქიდანაც მუჭანახევარა და გზად, ქორწილის მაყრიონს გადაეყარა.

– ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო! ახლა მექორწილეებმა სცემეს საცოდავი...

– რადა მკლავთ, ხალხო, რა დაგიშავეთ, მაშ რა უნდა მეთქვაო?

– რა უნდა გეთქვა და „მეფეს გაუმარჯოს, მეფეს გაუმარჯოსო!!!“

ამათ რომ გადაურჩა ნაცემ-ნაბეგვი მუჭანახევარა, ისევ თავის გზას გაუდგა. იმასლა ფიქრობდა: ნეტავ აღარავინ შემომხვდებოდესო.

გზად ერთი მონადირე დაინახა. მოემარჯვებინა თოფი და რაღაც ნადირს უმიზნებდა. მუჭანახევარამ მოიგლიჯა ქუდი და: – მეფეს გაუმარჯოს, მეფეს გაუმარჯოსო! – ძახილით გაიქცა მონადირისაკენ.

ნადირი დაფრთხა და გაიფანტა. მონადირემ სროლაც კი ვერ მოასწრო, სამაგიეროდ, მუჭანახევარა დაიჭირა და რაც სიგრძე ჰქონდა, სიგანედ გაუხადა.

სახლამდე ძლივს მილასლასდა დაუფიქრებელი მუჭანახევარა, ლობიოც გვერდზე დარჩა და მუჭანახევარი მარილიც...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

გუთნისდება და სოვდაგარი

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

◉ იმღერე გამა, გამოსახე მეტრი და რიტმი. შემდეგ, გაცვალე როლები.

I ჯგუფი ჭეშრის

II ჯგუფი გამოსახავს ტაშით რიტმს

III ჯგუფი გამოსახავს ფეხის დარტყმით მეტრს

II ჯგუფი ჭეშრის

III ჯგუფი გამოსახავს ტაშით რიტმს

I ჯგუფი გამოსახავს ფეხის დარტყმით მეტრს




I ჯგუფი მღერის



III ჯგუფი ტაში



II ჯგუფი ფენის დარტყმა



მოუსმინე სიმღერებს:

(„ოროველა“ (კახური), „სიქოულბატა“ (მეგრული), „იმერული მგზავრული“).

ნაიკითხე ზღაპარი და შინაარსობრივად დააკავშირე მოსმენილი სიმღერების განწყობასთან.

დავალება შეასრულე კომპიუტერული პროგრამა LMMS-ის გამოყენებით.

გუთნისდედა და სოვდაგარი

„იყო ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი, ერთხელ, გზაზე მიდიოდა და დაინახა, გლეხკაცი ყანას ხნავს.  თავად სალამი არ მისცა, ისევ გუთნისდედა მიესალმა.

– კაცო, – უთხრა სოვდაგარმა, – შე საცოდავო, რას ებრძვი მაგ მიწას და წელს ინყვეტ. ხომ ხედავ, არც ვხნავ, არც ვთესავ, მაგრამ არც პური მაკლია და სარჩოც უთვალავი მაქვს.

გუთნისდედამ არაფერი უპასუხა. გასცდა მას სოვდაგარი და წავიდა თავის გზაზე. გავიდა რამოდენიმე წელიწადი, მოუსავლიანობისგან საშინელი შიმშილობა  ჩამოვარდა, აღარსად იყო საყიდლად პური. სოვდაგარსაც გაუთავდა პური, მასაც მოჰვიდა და ცოლ-შვილიც დაემშა. ადგა, წაიღო ბევრი ფული და წავიდა პურის საყიდლად.

იარა სოვდაგარმა, იარა და იმ გუთნისდედას მიაღგა კარზე. ეხვეწება სოვდაგარი:

— პური უნდა მომყიდო.

— რამდენიც გნებავს, მიირთვი, – პასუხობს გლეხკაცი.

— ოცი კოდი მომყიდე და რასაც მთხოვ, მოგცემ, – აძლევს ფულს, მაგრამ გლეხკაცი გაიძახის, – ფული არ მინდა.

— მაშ, რა მოგცე, – ეკითხება სოვდაგარი.

— შენი ცოლიო მომეცი, – პასუხობს გლეხკაცი – მაშინ მოგცემ პურს, თუ არა და – არ მოგცემ. დაფიქრდა სოვდაგარი, იფიქრა, იფიქრა და იცრუა:

— ცოლი არ მყავს, მაგრამ მამიდა კი მყავს, თუ გინდა, მოგცემ.

— კარგი, – დაეთანხმა გლეხი.

წაიღო სოვდაგარმა პური და მოუყვანა სანაცვლოდ ცოლი.

გლეხკაცი ისე ინახავს სოვდაგარის ცოლს, როგორც თავის საკუთარ შვილსა და დას; კარგს აჭმევს, ასმევს და აცმევს, ცალკე მოსვენებით ჰყავს.

გავიდა ერთი თუ ორი წელი, ზის სოვდაგარი შინ და კედლებსლა შესცქერის,  გრძნობს, რომ ამ მდიდრულად მორთულ სახლში, ამ ოქროთი სავსე სკივრებთან, ვიღაც აკლია. შემოეყარა გულს, დაენანა თავისი ცოლი და შერცხვა: რა ოხრად მინდა ამდენი ფული, ან პური ვის ვაჭამო, თუკი ჩემი ცოლი აქ არ იქნება?

ადგა, ჩაიცვა, მოირთო, წაიღო უთვალავი ოქრო და გასწია ცოლის გამოსასყიდად. მივიდა იმ გლეხთან. გამოეგებნენ, შეიპატიჟეს და მშვენივრად გაუმასპინძლდნენ, აიღო სოვდაგარმა ფაფუკი თეთრი პური და უთხრა ლექსად:

– პურო, ჩემო სულო და გულო, ცოლი მამიდად გამიხდია, ვაჰ მე, სულო დატან-ჯულო!!!

უსმინა გლეხმა სოვდაგარს, შეეცოდა, მიხვდა, მოენანიებინა თავისი საქციელი და დაუბრუნა ცოლი.  სოვდაგარმა გლეხს გულითადი მადლობა გადაუხადა და მას შემდეგ, ხვნა-თესვის პატივისმცემელი შეიქმნა“.

 მასწავლებელთან ერთად იმღერე სიმღერა „დელიდელი“ და იმსჯელე, რომელ ეპიზოდს შეიძლება მოერგოს.

გედების ტბა



წაიკითხე და გაიხსენე:

რას ნიშნავს ტონალობა, გამა, კილო?

იმღერე დო მაჟორი და სამი სახის ლა მინორი.



მაჟორი და მინორი ფრანგული სიტყვებია. მაჟორი დიდს ნიშნავს, მინორი – პატარას.

დო მაჟორი



დო მაჟორი

მყარი ბგერები

მერყევი ბგერები



მერყევი ბგერების გადანყვება მყარში





ლა მინორი ბუკნბრაუსი



პარმანიუდი



მელდიური



შეარჩიე ჰარმონიული ლა მინორის ბგერები და შექმენი მოტივი, სახელწოდებით „აღმოსავლური ზღაპარი“.

იმსჯელე, როგორი შეიძლება იყოს ნაწარმოები, რომელიც დაწერილია მაჟორულ კილოში. როგორი შეიძლება იყოს მინორულ კილოში დაწერილი ნაწარმოები, მხიარული თუ სევდიანი.

მოუსმინე მასწავლებელს და დაადგინე, რომელი თემა შეიძლება იყოს ზღაპრის გამარჯვებული გმირის, რომელი მოჯადოებულის? რომელი ჟღერს მაჟორულად, რომელი მინორულად.

გაეცანი პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტი „გედების ტბის“ მოკლე შინაარსს: ოდეტა ბოროტი ჯადოქარი როტბარტის ტყვეობაში იმყოფება. განთიადზე ის გადაიქცევა, მთვარის ამოსვლისას, პირვანდელ სახეს იბრუნებს. მხოლოდ უფლისწული ზიგფრიდის მარადიულ სიყვარულს შეუძლია, დაიხსნას ოდეტა. ჯადოქრის ქალიშვილი ოდილია ცდილობს, თავგზა აუბნოს უფლისწულს, მაგრამ სიკეთე იმარჯვებს. ზიგფრიდი მოინანიებს წამიერ გატაცებას ოდეტას წინაშე და მარადიულ სიყვარულს შეფიცავს მას. ჯადოქარი განადგურებულია.



მოისმინე ოდეტას თემის ორი ვარიანტი.



უპასუხე კითხვებს:

თემის რომელი ვარიანტი შეიძლება ასახავდეს ტყვეობაში მყოფი ოდეტას სახეს და რომელი – გათავისუფლებულის? რომელ კილოში ჟღერს თემები?

„ოდეტას“ თემის ორი ვარიანტი ჩანერე სხვადასხვა ნიშნით და ააჟღერე ისინი კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში შემდეგი თანმიმდევრობით: 1) დატყვევებული; 2) გამარჯვებული.



სცენა ბალეტიდან „გედების ტბა“



სცენები ბალეტიდან „გედების ტბა“



ამავე ბალეტიდან მოისმინე და უყურე მეჯლისს, სადაც სხვადასხვა ხალხის ცეკვები: ესპანური, იტალიური (ნეაპოლური), უნგრული და პოლონური (მაზურკა) ერთმანეთს ენაცვლება. იმსჯელე მუსიკის ხასიათსა და საცეკვაო ჟესტების შესახებ. დაადგინე, რომელ კილოშია დაწერილი ცეკვები, მაშორსა თუ მინორში.




წაიკითხე და გაიხსენე:

მუსიკალური თემა – დასრულებული მუსიკალური აზრი, რომელიც მხატვრულ სახეს გამოხატავს.

ლაიტთემა – მუსიკალური თემაა, დაკავშირებული ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და ყოველთვის თან ახლავს მის გამოჩენას.

ფასკუნჯი


გაიხსენე, რომ მანძილს პირველიდან მერვე ბეგრამდე ჰქვია **ოქტავა**. კლავიატურაზე სულ რვა ოქტავაა განლაგებული: სუბკონტროქტავა, კონტროქტავა, დიდი ოქტავა, მცირე ოქტავა, პირველი ოქტავა, მეორე ოქტავა, მესამე ოქტავა, მეოთხე ოქტავა. ამათგან, სუბკონტროქტავა არასრულია.



მოუსმინე მასწავლებლის მიერ დაკრულ ოქტავებს, შეადარე მათი ჟღერადობები. გამოცადე შენი თავი, რამდენი ბგერა შეგიძლია იმღერო მეორე ოქტავაში, რამდენი ბგერა – მცირე ოქტავაში?



მოუსმინე მელოდიას და დაადგინე, რომელ ოქტავაში ჟღერს მოტივები. დააკვირდი ნახატებს, სადაც ბგერები ჩანწერილია სხვადასხვა გრაფიკული გამოსახულებით. დაადგინე, რომელი ნახატი, რომელ ოქტავაში ჩანწერილ მოტივს შეესაბამება.



გადაწერე მოცემული მოტივები სანოტო რვეულში



გაეცანი იგორ სტრავინსკი ბალეტი „ფასკუნჯის“ მოკლე შინაარსს: ბოროტი უკვდავი კაშჩეის ტყვეობაში იმყოფებიან მეფის ასულები და გაქვავებული უფლისწულები. მოჯადოვებულ ბაღში შეაღწევს უფლისწული ივანე, რომელიც თვალისმომჭრელ ფასკუნჯს დაედევნა. ბაღში დატყვევებული მეფის ასულები გამოჩნდებიან. მათ შორის, არის მზეთუნახავი ასული. უფლისწული ციხე-სიმაგრის კარიბჭეს შეეხება და კაშჩეის სამეფოს აღვიძებს. ბოროტი კაშჩეი და მისი მსახურები თავს დაატყდებიან უფლისწულს. ფასკუნჯი ეხმარება მას და უფლისწული მეფის ასულებსა და უფლისწულებს ათავისუფლებს. კაშჩეის სამეფო იმსხვრევა. ზღაპარი უფლისწულისა და მზეთუნახავი მეფის ასულის ქორწილით მთავრდება.



სცენები ბალეტიდან „ფასკუნჯი“



მოისმინე სამი თემა ბალეტიდან.

უკვდავი კაშჩეის, დატყვევებული მზეთუნახავისა და გამარჯვების თემა-ბი და დაადგინე, ზღაპრის რომელ პერსონაჟს ახასიათებს ეს მუსიკალური თემები.



უპასუხე კითხვებს:

1. მოცემული თემები მაჟორში ჟღერს თუ მინორში?
2. რა განცდას იწვევს უკვდავი კაშჩეის თემა?
3. რა განწყობას გიქმნის თემა, რომელიც ბალეტის დასასრულს ჟღერს?
4. რომელ თემაში ისმის თხოვნის ინტონაციები?



იგორ სტრავინსკი

იგორ სტრავინსკი (1882-1971) – გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი. მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მან, სახელი გაითქვა ბალეტებით „პეტრუშკა“, „კურთხეული გაზაფხული“ და „ფასკუნჯი“. ამის შემდეგ სტრავინსკი რუსეთიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც თავდაპირველად ცხოვრობდა საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, ხოლო მოგვიანებით – აშშ-ში. სტრავინსკი მუსიკას წერდა სხვადახვა სტილსა და ჟანრში. მან შექმნა ოპერები, ბალეტები და მრავალი ინსტრუმენტული ნაწარმოები.



ნაიკითხე და გაიხსენე:

სტილი – სხვადასხვა ხალხის, ეპოქის ან ცალკეული კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეების ერთობლიობა და გამომსახველობითი ხერხები.

ჟანრი – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა, რომელსაც აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი, თემატიკა, გამომსახველობითი საშუალებები.

მწყემსი და ჯუჯები



მოუსმინე ინტონაციურ სავარჯიშოს და დააკვირდი, სად წყდება ჟღერადობა.




მუსიკის დროებით შეწყვეტას **პაუზა** ჰქვია.

პაუზებს, ისევე როგორც ნოტებს, აქვთ გრძლიობები:

- მთელი პაუზა: —
- ნახევარი პაუზა: —
- მეოთხედი პაუზა: ¼
- მერვედი პაუზა: ⅛
- მეოთხედმეტი პაუზა: ⅜

შექმენი მოტივი და გამოიყენე პაუზები.

დააკვირდი ნახატს და გამოსახე რიტმი სხვადასხვა მოძრაობით.





მოუსმინე ედვარდ გრიგის ნაწარმოებებს: საფორტეპიანო პიესა „ჯუ-ჯუების მარშ“, საორკესტრო პიესებს „დილა“ და „მთის მეფის გამოქვაბულში“ (საორკესტრო სიუიტიდან „პიერ გიუნტი“).

წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები და თითოეულს მიუსადაგე კომპიუტერულ პროგრამა Lmms-ში ჩატვირთული ფრაგმენტები.

„მშვენიერი დილა გათენდა.“

ჯუჯუები გამოქვაბულისაკენ გარბოდნენ.

მწყემსი ბიჭუნა სალამურზე უკრავდა, ცაში კი მერცხლები ფრენდნენ.

ყიჟინითა და ხმაურით მიუახლოვდნენ ჯუჯუები მწყემსის ადგილსამყოფელს.

მწყემსმა იფიქრა, საით გაუნევიათ ჯუჯებს, იქნებ მეც ვნახო, რა ხდება მათ გამოქვაბულში და ფეხაკრეფით გაჰყვა ჯუჯების კვალს.

ბიჭუნამ გამოქვაბულში ფანტასტიკური არსებები: გნომები, ტროლები, კობოლდები იხილა, ისინი თავიანთი პრინცესის და პერის ქორწილს ზეიმობდნენ. მათთან ერთად ფერხულში ჩაებნენ ღამურები და აჩრდილები.

შეშინებული ბიჭუნა გამოქვაბულიდან გამოიქცა, უცბად, ფეხი დაუსხლტა და ბუჩქნარში ჩავარდა.

ის უვნებლად გადარჩა და სახლისაკენ გასწია. მშვენიერი ამინდი იდგა, მდელო, ჩიტები და დილის მზე ბუჭუნას სახლისაკენ მიაცილებდნენ.“

იმსჯელე, რატომ მოარგე ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი მოცემულ წინადადებებს.

ედვარდ გრიგი (1843-1907) – ნორვეგიელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორია, ნორვეგიული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი. იგი განსაკუთრებით ცნობილია საორკესტრო სიუიტებით „პერ გიუნტი“, საფორტეპიანო კონცერტით ლა მინორი, სავიოლინო სონატით №2 და საფორტეპიანო „ლირიკული პიესებით“. გრიგი საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელიც იყო. მან დააარსა მუსიკალური საზოგადოება „ევტერპა“, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა კომპოზიტორების თხზულებათა პოპულარიზაციას. ნორვეგიელმა კომპოზიტორმა გასტროლებით მოიარა ევროპის სხვადასხვა ქვეყანა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში განმარტოებით ცხოვრება ირჩია ბერგენის მახლობლად, თავის მამულში, რომელსაც „ტროლდჰაუგენი“ ანუ „ტროლების ბორცვი“ უწოდა. აქ გრიგმა დიდი დრო საკომპოზიტორო მოღვაწეობას დაუთმო, ხოლო ბერგენში ხელმძღვანელობდა საკონცერტო საზოგადოება „ჰარმონიას“ და დააარსა ნორვეგიული მუსიკის ფესტივალიც.



ედვარდ გრიგი


ზღაპარი

იმღერე ინტერვალები: სეკუნდები, სეპტიმები, ტერციები, სექსტები, პრიმები, კვარტები, კვინტები, ოქტავეები.



შეურჩიე ინტერვალებს შემდეგი სახელწოდებები: კეთილბოვანი ანუ კონსონანსი, არაკეთილბოვანი ანუ დისონანსი და წმინდა.

იმღერე კვარტების თანმიმდევრობა დო მაჟორში და აღმოაჩინე განსხვავებული ჟღერადობის კვარტა.




გაიხსენე მთელი და ნახევარი ტონების მნიშვნელობა. ნახევარი ტონი არის უახლოესი მანძილი ორ ბგერას შორის, ორი ნახევარი ტონი კი ერთ მთელ ტონს გვაძლევს.

ინტერვალი ლათინური სიტყვაა და მანძილს, შუალედს ნიშნავს. მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ორი თვისება აქვს: ტონობრივი და რაოდენობრივი. რაოდენობრივი თვისება განსაზღვრავს იმას, თუ რამდენი ბგერით არის დაშორებული ფუძე და მწვერვალი ერთმანეთისგან. ხოლო ტონობრივი – რამდენი ტონია ფუძესა და მწვერვალს შორის. ინტერვალის შესახებ ვსვამთ ორ კითხვას: მერამდენე საფეხურია ფუძიდან მწვერვალი და რამდენი ტონია მათ შორის.

ტონობრივი თვისების გამო, გადიდებულ კვარტას ჰქვია ტრიტონი, ვინაიდან ეს ინტერვალი სამი მთელი ტონისაგან შედგება.

იმღერე და დაასრულე მოცემული მუსიკალური ფრაზები. შექმენი მელოდია და ჩაწერე სანოტო რვეულში. მოიფიქრე, რომელი ინტერვალებით დაახასიათებ ზღაპრის კეთილ პერსონაჟს, რომელი ინტერვალებით – ბოროტს?

ზღაპრის კეთილი პერსონაჟი:



ზღაპრის ბოროტი პერსონაჟი:



მოისმინე ორი პიესა:

პიოტრ ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომიდან“ – (კუდიან დედაბერი) და მუსორგსკის სუიტა „სურათები გამოფენიდან“ – (ქოხი ქათმის ფეხებზე).



უპასუხე კითხვებს:

1. რომელ კილოშია დაწერილი ეს პიესები?
2. როგორი ინტერვალები ისმის – კონსონანსი თუ დისონანსი?
3. როგორ ფიქრობთ, მოსმენილი პიესების გმირები ზღაპრის დადებითი, კეთილი პერსონაჟებია თუ უარყოფითი?



მოისმინე ფრაგმენტები მოდესტ მუსორგსკის პიესიდან „ქოხი ქათმის ფეხებზე“ და „გასეირნება“ (ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“).

მოცემული ფრაგმენტები ააჟღერე კომპიუტერულ პროგრამა Lmms-ში და შექმენი მუსიკალური ზღაპარი. უამბე კლასელებს მისი შინაარსი.



კუდიანი დედაბერი

იმღერე და გაეცანი მაჟორულ, მინორულ, შემცირებულ და გადიდებულ სამხმოვანებებს.



დაახასიათე სამხმოვანებების ჟღერადობა და მოარგე შემდეგი სიტყვები: კეთილხმოვანი – კონსონანსი, არაკეთილხმოვანი – დისონანსი, მაჟორული, მინორული.

ტერციებად დალაგებული ბგერების თანაჟღერადობა სამხმოვანებაა, ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობას კი **აკორდი** ჰქვია.



მოუსმინე ერთი და იმავე სახელწოდების ნაწარმოებებს, კუდიანი დედაბერის პიოტრ ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომიდან“ და ანატოლი ლიადოვის სიმფონიურ პოემა „კუდიან დედაბერს“.



უპასუხე კითხვებს:

1. მოსმენილი ნაწარმოებები ზღაპრის გმირს ახასიათებს თუ რეალური სურათს აღწერს?
2. როგორი პერსონაჟის დაახასიათება შეიძლება მოგვცეს ამ მუსიკამ: დადებითი თუ უარყოფითი?
3. ნაწარმოებები დანერვილია მაჟორულ კილოში, თუ მინორულში?
4. დისონანსები უფრო ხშირად ჟღერს, თუ კონსონანსები?

კიდევ ერთხელ მოუსმინე ნაწარმოებებს და დაადგინე, რომელ ეპიზოდს შეიძლება მოერგოს შემდეგი წინადადებები:

ა) „ვინ, ვინ, ვინ, ფრენს ღამის წყვდიადში?

ვინ, ვინ, ვინ გვიხმობს თავის სახლში?“

ბ) „კუდიანი დედაბერი დაჰქრის ღამის წყვდიადში, გადაუფრენს უღრან ტყეს და დააფრთხობს ცხოველებს, ჩანაფიქრი ავი აქვს და ჯადოქრობაც ბოროტი“.

დაადგინე, რა ინტონაცია, კილო და განწყობა ისმის ამ ეპიზოდებში: თხოვნის, შეკითხვის, ბრძანების, სადღესასწაულო?

სიმფონიური ზღაპარი

გაეცანი გამა სოლ მაჟორს, მოისმინე, იმღერე, დააკვირდი.

ტონალობა სოლ მაჟორს ერთი საგასაღებო ნიშანი ფა დიეზი აქვს. გადაწერე სანოტო რვეულში გამა სოლ მაჟორი და შემოხაზე გამის პირველი ოთხი ნოტი. ეს არის გამის ქვედა ტეტრაქორდი*. შემოხაზე გამის ბოლო ოთხი ნოტი. ესაა გამის ზედა ტეტრაქორდი.



იმღერე სოლ მაჟორი, სადაც ზედა ტეტრაქორდი, ამჯერად, ოქტავით ქვემოთ არის ჩანერილი.

*ტეტრაქორდი – (ბერძნ. ტეტრა – ოთხი, ქორდი – სიმი) ტეტრაქორდი ოთხ-საფეხურიანი ბგერათა რიგია.




წერტილი გრძლიობის გახანგრძლივების საშუალებაა. მოცემულ გრძლიობას წერტილი მისივე დროის ნახევარს უმატებს. ნახევრიანი გრძლიობა წერტილით ითვლის სამ თვლას.


$\text{♩} = 3 \text{ თვლას.}$

იმღერე და გამოსახე რიტმი:



გაეცანი და იმღერე სამი სახის მი მინორი. რა მსგავსებაა სოლ მაჟორსა და მი მინორს შორის.





პირველი ჯგუფი



მეორე ჯგუფი



გადაწერე ჰარმონიული მი მინორი სანოტო რვეულში; გამოყავი ქვედა და ზედა ტეტრაქორდები.

პეტია და მგელი

სერგეი პროკოფიევი, საგანგებოდ ბავშვებისთვის, დაწერა სიმფონიური* ზღაპარი, სადაც მოქმედ პირებს, იხვს, ჩიტს, მგელს, კატას, პეტიას და ბაბუას, სხვადასხვა ინსტრუმენტი განასახიერებს; ჩიტს – ფლეიტა; იხვს – ჰობოი; კატას – კლარნეტი; ბაბუას – ფაგოტი; მგელს – სამი ვალტორნა. ზღაპრის შინაარსი კი შემდეგია:

„დილით ადრე, პეტია მდელიზე გავიდა. ნაცნობი ჩიტი ხეზე შემომჯდარიყო და მშვიდად გალობდა. ეზოდან პეტიას იხვი გამოჰყვა გოგმანით, გუბურაში ვიცურავებო. გაკვირვებულმა ჩიტმა იხვს ჰკითხა:

– შენ რა ჩიტი ხარ, ფრენა არ იციო?

იხვი კი აბუზლუნდა:

– შენ რა ჩიტი ხარ, ცურვა არ იციო?

ეს კითხვა-პასუხი კინკლაობაში გადაიზარდა ისე, რომ ვერც შეამჩნიეს, კატა როგორ მიუახლოვდა. ჩიტი ხეზე აფრინდა და იხვმა წყალში შეცურა. კატა ფიქრობდა, ღირს კი დავსველდე იხვის გამოო? გაიწია ჩიტისკენ, მაგრამ ზიანი ვერ მიაყენა.



ბაბუამ პეტია გააფრთხილა, გარეთ ნუ გახვალ, შეიძლება, ტყიდან მგელი გამოვიდესო. პეტიამ უთხრა, მგლის არ მეშინიაო. მიუხედავად ამისა, ბაბუამ პეტია, მგლის შიშით, ეზოში გამოკეტა. ამასობაში, მგელიც გამოჩნდა, იხვს დაედევნა და გადასანსლა. მოხერხებულმა პეტიამ თოკი ისროლა, ხეზე გადაცოცდა და ამავე თოკით მსუნაგი მგელი ხაფანგში გააბა. მგელს კვალდაკვალ მისდევდნენ მონადირეები, პეტიამ სთხოვა მათ, მგელი ზოოპარკში წამაყვანინეთო. გაიმართა საზეიმო მსვლელობა – მარში. მიდის პეტია, მიჰყვებიან მონადირეები, მიათრევენ მგელს, მიფრინავს ჩიტი, მათ ბუზლუნით მისდევენ ბაბუა და კატა; მგლის მუცელში კი ცოცხლად გადაყლაპულ იხვი ყიყინებს.“



მოუსმინე ლაიტმოტივებს პროკოფიევის სიმფონიური ზღაპარიდან „პეტია და მგელი“.

განსაზღვრე, რომელი პერსონაჟია დახასიათებული მინორული კილოთი და როელი – მაჟორულით.

ტონალობის მყარი საფეხურებით აგებული თემა დადებითი პერსონაჟის დახასიათებაა, ხოლო მერყევი საფეხურებით აგებული კი, უარყოფითი გმირის სახეს გვიხატავს.





კლარნეტი




კატის ლაიტმოტივი



ფაგოტი



ბაბუას ლაიტმოტივი



ვალტორნა

მგლის ლაიტმოტივი



დიდი დოლი
ლიტავრები



მონადირეების ლაიტმოტივი



კიკიმორა


- რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.
 გაეცანი და მოუსმინე ფა მაჟორს.
 რა ნიშანია დასმული ვიოლინოს გასაღებთან?
 ტონალობა ფა მაჟორს აქვს ერთი საგასაღებო ნიშანი – სი ბემოლი.
 გადანერე გამა ფა მაჟორი სანოტო რვეულში; შემოხაზე პირველი ოთხი ნოტი –
 ქვედა ტეტრაქორდი, შემდეგ, ზედა ტეტრაქორდი.



- იმღერე ფა მაჟორი გააჟღერე ზედა ტეტრაქორდი ოქტავით ქვემოთ.



- გაეცანი და იმღერე ფა მაჟორის პარალელური გამა რე მინორი. რა აქვს საერთო აქვს რე მინორს ფა მაჟორთან?



პირველი ჯგუფი

მეორე ჯგუფი



გადანერე ჰარმონიული რე მინორი სანოტო რვეულში. გამოყავი ქვედა და ზედა ტეტრაქორდები.

ნოტებისა და სახელებით იმღერე ფა მაჟორში შექმნილი მელოდია. დაადგინე, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს (კეთილსა თუ ბოროტს) შეეფერება ასეთი მოტივი?

მელოდია იწყება ტაქტიდან, სადაც ერთი მეოთხედია. როგორ ფიქრობ, თუ ტაქტში თვლა ორზეა, ტაქტი სრულია თუ არასრული?

ასეთ ტაქტს მუსიკოსები **გარე ტაქტს** უწოდებენ. თვლის რაოდენობა, რომელიც გარე ტაქტს აკლია, ბოლო ტაქტში შეივსება.



მოუსმინე ფრაგმენტებს ანატოლი ლიადოვის სომფონიური პოემიდან „კიკიმორა“. დააკავშირე მოსმენილი ფრაგმენტები შემდეგ წინადადებებთან:

ა) დილიდან საღამომდე არწევნ კიკიმორას ბროლის აკვანში.

ბ) აკვანთან ზის კატა ბაიუნი, რომელიც საოცარ ზღაპრებს უყვება და ამშვიდებს კიკიმორას.

გ) შვიდ წელიწადში იზრდება ქაობების ბინადარი კიკიმორა; მძვინვარებს, უსტვენს და აკაკუნებს. ბოროტი აქვს ზრახვები.



უპასუხე კითხვებს:

1. რომელ კილოში ჟღერს ფრაგმენტები?
2. კიკიმორას დახასიათებისათვის შერჩეულია კეთილხმოვანი ჟღერადობა კონსონანსი თუ არაკეთილხმოვანი დისონანსი?
3. მოსმენილიდან რომელი ფრაგმენტი ასახავს კიკიმორას მოძრაობას?



კიკიმორა



მოუსმინე კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ფრაგმენტებს და ააჟღერე ქვემოთ მოცემული წინადადებების თანმიმდევრობის მიხედვით.

- ა) კიკიმორა შორეულ მთებში ჯადოქართან იზრდება.
- ბ) მას დილიდან საღამომდე კატა ბაიუნი ართობს და უცნაურ ზღაპრებს უყვება.
- გ) შფოთავს და წრიალებს კიკიმორა აკვანში.
- დ) კატა ბაიუნი კი ამშვიდებს და შელოცვებს ჩასჩურჩულებს ყურში.
- ე) ბაიუნი კიკიმორას ბროლის აკვანს არწევს; შორეული მთების გამოქვაბულში, საშინელი სიჩუმე ჩამოწვება.




ანატოლი ლიადოვი

ანატოლი ლიადოვი (1855-1914) რუსი კომპოზიტორი და დირიჟორი იყო; წერდა სიმფონიურ, საფორტეპიანო და ვოკალურ ნაწარმოებებს. მისი ქმნილებებიდან პოპულარობით სარგებლობს სიმფონიური პოემები „კუდიანი დედაბერი“, „ჯადოსნური ტბა“ და „კიკიმორა“; სამივე ნაწარმოებს საფუძვლად უდევს სიუჟეტები რუსული ხალხური თქმულებებიდან. მას დიდი წვლილი მიუძღვის რუსული ფოლკლორის პოპულარიზაციაში. ლიადოვს ეკუთვნის სიმღერების კრებულები უფროსებისა და ბავშვებისათვის. აგრეთვე, საგუნდო სიმღერების კრებული აკაპელა შესრულებისათვის. ვოკალური მუსიკაც რუსული ხალხური მუსიკიდან იღებს სათავეს.

ზამთრის ფერია

გაიხსენე, რას ნიშნავს ნახევარი და მთელი ტონები.

ერთსა და იმავე სახელწოდების ბგერებს შორის წარმოქმნილ ნახევარ ტონს (მაგ., დო და დო დიეზი) ქრომატიული ნახევარი ტონი ეწოდება.



ორი სხვადასხვა დასახელების ბგერებს შორის წარმოქმნილ ნახევარ ტონს დიატონური ნახევარი ტონი ეწოდება.



იმღერე და გაეცანი ქრომატიული გამებს.

ქრომატიული და დიატონური ნახევარი ტონებისაგან აგებულ ბგერათა რიგს ქრომატიული გამა ეწოდება.

ქრომატიული გამა დო მაჟორი



აღმავალ მაჟორულ ქრომატიულ გამაში ყველა საფეხური მაღლდება გარდა მესამე და მეექვსე საფეხურებისა, დაღმავალი სვლის დროს, ყველა საფეხური დაბლდება, გარდა მეხუთე საფეხურისა.



უპასუხე კითხვებს:

1. ქრომატიულ მაჟორში, აღმავალი სვლის დროს, რომელი საფეხური არ მაღლდება?
2. ქრომატიულ მაჟორში, დაღმავალი სვლის დროს, რომელი საფეხური არ დაბლდება?



ზამთრის ფერია



მოისმენე ფრაგმენტები: სერგეი პროკოფიევის ბალეტ „კონკიდან“ და ჯორჯ გერშვინის სიმფონიური პიესიდან „ამერიკელი პარიზში“.

იმსჯელე და დაადგინე, რომელი მუსიკალური ეპიზოდი ტოვებს ზღაპრული გმირის პერსონაჟის სახეს და რომელი შეიძლება ასახავდეს რეალურ ან გამოგონილ, მაგრამ არა ზღაპრულ გმირს.



სერგეი პროკოფიევი


სერგეი პროკოფიევი (1891-1953) – რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორია. პროკოფიევი წერდა იმ დროს არსებულ ყველა მუსიკალურ ჟანრში. მან შექმნა ოპერები, ბალეტები, სიმფონიები, კონცერტები სხვადასხვა სოლო ინსტრუმენტისა და ორკესტრისათვის, საფორტეპიანო სონატები და მცირე ფორმის თხზულებები, ორატორიები და კანტატები, კამერული ვოკალური და ინსტრუმენტული თხზულებები, მუსიკა კინოსა და თეატრისათვის. განსაკუთრებით ცნობილია მისი ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, ოპერა „სამი ფორთოხლის სიყვარული“, სიმფონიები №1 „კლასიკური“, №5, 7; საფორტეპიანო კონცერტები №1, 2, 3; საფორტეპიანო სონატები №7, 8; საფორტეპიანო ციკლი „ნამიერებანი“; სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“.

ჯორჯ გერშვინი (1898-1937) – ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი. გერშვინმა სახელი გაითქვა ჯაზური სტილის სიმღერებითა და მიუზიკლებით. ცნობილია მისი „რაფსოდია ბლუზის ტონებში“ (ცისფერი რაფსოდია) ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. მის შემოქმედებაში პირველად მოხდა ევროპული სიმფონიზმისა და ჯაზური მუსიკის გაერთიანება. სამხრეთის შტატების ზანგებისა და აფრიკულ-ამერიკული ფოლკლორის შესწავლის შედეგად, კომპოზიტორმა შექმნა პირველი ამერიკული ეროვნული ოპერა „პორგი და ბესი“.




ჯორჯ გერშვინი

ზღაპრის გმირები დღესასწაულზე




გაიხსენე და იდრეკი.


4/4 ითვლის
ოთხ თვლას.



3/4 ითვლის
სამ თვლას.



2/4 ითვლის
ორ თვლას.



► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

● იმღერე ქრომატიული გამა სოლ მაჟორი.

გაიხსენე, როგორ იცვლება საფეხურები მაჟორული ქრომატიული გამის აგების დროს.



დააკვირდი სანოტო ჩანაწერს. მელოდია იწყება მეოთხე თვლიდან. როგორ ფიქრობ, თუ ზომა 4/4-ია, სიმღერის პირველი ტაქტი სრულია თუ არასრული?

ასეთ ტაქტს მუსიკოსები **გარე ტაქტს** უწოდებენ. თვლის რაოდენობა, რომელიც გარე ტაქტს აკლია, ბოლო ტაქტში შეივსება. დააკვირდი ბოლო ტაქტს, სადაც პირველი, მეორე და მესამე თვლაა წარმოდგენილი. დააკვირდი სანოტო ჩანაწერს და იპოვე რკალი. ეს ლიგაა („—“). თუ მოცემულია ლიგით გადაბმული ერთი და იგივე სიმაღლის ორი ნოტი, გაჟღერდება მხოლოდ პირველი, ხოლო მეორე ნოტის ხანგრძლივობა მას ემატება.

● იმღერე და იდირიჟორე გარე ტაქტიდან, დაადგინე, რომელ ტონალობაშია დანერგილი სიმღერა. აღმოაჩინე, შეცვლილი, ალტერირებული ბგერა.

იმჯგეფე, როგორი შინაარსი შეიძლება ჰქონდეს ასეთ სიმღერას?

ფასტნახტ Fastnacht

Wenn's Gugg - ge-mu-sig gih, denn sin-ged d'lüüt: "S'isch Fas-nachts - zii!" Und

al - li, gross und chli. die wend de - bü ver-chlei-del sü!

D. C. al Fine

1. Al-li le-gel Mas-ke au o-der tönd sich schmin-ke. Lusch-tig wäin-ners zii-me haa i de Fas-nachts-ziit!



2. Jede chunnt grad, wie-n-er wött,
spielt mol öppert anderscht.
Und mer seit: «Gell kennsch mi nöd!»
i de Fasnachtsziit.

Refrain

3. Indianer oder Glön,
wildi Tier, Prinzessin.
Sich verchleide isch doch schön
i de Fasnachtsziit.





Refrain

4. Lueg döt hine d'Susi a,
mit em Stock und Schnurrbart.
Chunnt dehär als alte Maa
i de Fasnachtsziit.

სიმღერა მოგვითხრობს ევროპაში სააღდგომო „დიდი მარხვის წინ“ გამართული კარნავალის შესახებ, სადაც ჯამბაზებისა და ზღაპრის გმირების ფორმებში გამოწყობილი მონაწილეები მთელ ღამეს მხიარულად ატარებენ.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ზღაპარი საფუძვლად დაედო სერგეი პროკოფიევის ბალეტ „კონკიას“.



ნახე და მოისმინე ფრაგმენტები ამ ბალეტიდან.




უპასუხე კითხვებს:

1. რომელი ფრაგმენტი შეიძლება იყოს ზღაპრის შესავალი, ბალეტის უვერტიურა?
2. რომელი ფრაგმენტი შეიძლება ასახავდეს დედინაცვლისა და მისი ქალიშვილების სახეს?
3. რომელი ფრაგმენტი ასახავს უფლისწულისა და კონკიას ცეკვას, ზღაპრის კეთილ დასასრულს?
4. როგორ დაადგინეთ ამა თუ იმ ფრაგმენტის შინაარსი? გაიხსენე, რა არის უვერტიურა.

წელიწადის დრონი

დააკვირდი ნახატს, ხელით გამოსახე რიტმი, ფეხით – მეტრი.



ნასწავლი ტონალობებიდან – დო მაჟორი, ლა მინორი, სოლ მაჟორი – ამოარჩიე ერთ-ერთი და შექმენი ოთხტაქტიანი მელოდია, რომელიც შენი საყვარელი ზღაპრის გმირის დახასიათება იქნება.

ნახე და მოუსმინე სერგეი პროკოფიევის ბალეტ „კონკიას“ ეპიზოდებს: ფერია – წელიწადი და ფერიები – გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ამოიცანი, წელიწადის რომელ დროს შეიძლება განასახიერებდეს მუსიკა; როგორი ჟღერადობა აქვს „შემოდგომის ფერიის“ მუსიკალურ თანხლებას: მეტწილად კონსონანსები ჟღერს თუ დისონანსები?

ააჟღერე კომპიუტერული პროგრამა Imms-ში მოცემული ფრაგმენტები შემდეგი თანმიმდევრობით: „ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის ფერიების ცეკვები“.

ნახე ფრაგმენტი სერგეი პროკოფიევის ბალეტიდან – „კონკიას მეჯლისზე გაცილების სცენა“. ვალსი ბალეტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეპიზოდია.



უპასუხე კითხვებს:

გაიხსენე, რა არის ვალსი?

რომელ კილოში ჟღერს თითოეული ცეკვა?

ჰენზელი და გრეტელი

დააკვირდი სანოტო ჩანანერს.

ძამიკო, მოდი ვიცეკვოთ

Brüderchen, komm tanz mit mir

Aus der Oper "Hänsel und Gretel"
von Engelbert Humperdinck (1854-1921)



2. Mit den Händchen, klipp, klipp, klapp,
mit den Füßchen, tripp, tripp, trapp!
Einmal hin, einmal her,
rund herum, das ist nicht schwer.

3. Mit den Köpfchen, nick, nick, nick,
mit dem Fingerehen, trick, trick, trick!
Einmal hin, einmal her,
rund herum, das ist nicht schwer.

დაადგინე, სიმღერის მელოდია ჩანერილია ფა მაჟორში, სოლ მაჟორსა თუ დო მაჟორში. იდირიჟორე და იმღერე მელოდია ნოტების დასახელებით. მასწავლებლის დახმარებით დადგი სიმღერა.

სიმღერა, „ძამიკო ერთად ვიცეკვოთ“ არის ფრაგმენტი ენგებერტ ჰუმპერდინგის საბავშვო ოპერიდან „ჰენზელი და გრეტელი“. ოპერას საფუძვლად უდევს გერმანელი მეზღაპრე ძმები გრიმების იმავე სახელწოდების ზღაპარი „ჰენზელი და გრეტელი“. ოპერის შინაარსი, ანუ ლიბრეტო კი შემდეგია: „და-ძმა ჰენზელსა და გრეტელს ფიჩხის მოსატანად მოუწევთ წასვლა. ბავშვებს შემოაღამდებათ, ულრან ტყეში გზა აებნევათ და შეშინებულებს, სხვადასხვა არსებები ელანდებათ. დადლილებს ჩაეძინებათ. გამთენიისას კი ულამაზესსა და უცნაურ, ნამცხვრისგან აშენებულ სახლს დაინახავენ. აღმოჩნდება, რომ სახლი ბოროტ კუდიან დედაბერს ეკუთვნის. იგი ბავშვებს მოჯადოებულ სახლში შეიტყუებს და ჰენზელის შეჭმას განიზრახავს, მაგრამ და-ძმის სიყვარული და ერთგულება ჯადოქრობაზე ძლიერია, ისინი გავარვარებულ ღუმელში შეაგდებენ დედაბერს და ჯადოქრობისაგან სხვა ბავშვებსაც დაიხსნიან. გამარჯვებული ჰენზელი და გრეტელი სიხარულით ეგებებიან მშობლებს, რომლებიც ბავშვების საძებრად ტყეში წამოსულან“.

მოუსმინეთ ფრაგმენტებს ე. ჰუმპერდინგის ოპერიდან „ჰენზელი და გრეტელი“. დაადგინე, ზღაპრის რომელ ეპიზოდს შეიძლება ასახავდეს მუსიკა და მიუსადაგე ქვემოთ მოყვანილ წინადადებებს.

- 1) „იყო და არა იყო რა“;
- 2) გრეტელი ტყის კეთილ არსებაზე მღერის;
- 3) ბავშვებს ტყეში დაულამდებათ, გუგულის ხმა ესმით, თვითონაც პასუხობენ და ექო უბრუნდებათ; კუდიანი დედაბერიც კი მოელანდებათ;
- 4) დედაბერი თავის სახლს ნამცხვრისა და ტკბილეულის სახლად გადააქცევს და მასში ჰენზელსა და გრეტელს შეიტყუებს;
- 5) ჰენზელი დედაბრის მახეში გაეხშება, დედაბერი საზარლად იცინის;
- 6) ბავშვები კუდიან დედაბერს გავარვარებულ ლუმელში შეაგდებენ და ბოროტების დამარცხებას ზეიმობენ;
- 7) ჰენზელისა და გრეტელის გამარჯვებას სხვა მოჯადოებული ბავშვების გათავისუფლება მოაქვს. დედაბრის ჯადოქრობისაგან დახსნილი ბავშვები იღვიძებენ და მღერიან.

იმდერე გერმანული ხალხური სიმღერები: „ჰენზელი და გრეტელი“. „კაცუნა დგას ტყეში“.

ჰენზელი და გრეტელი Hänsel und Gretel

Melodie: Mündlich überliefert

1.

Hän - sel und Gre - tel ver - lie - fen sich im Wald.
Es war so fin - ster und auch so bil - ter

2.

kalt. Sie ka - men an ein Häns - chen von Pfeif - fer - ku - chen

9

frein Wer mag der Herr wohl in die - sem Häus - chen sein?

სიმღერაში აღწერილია ჰენზელის და გრეტელის გამარჯვება კუდიან დედაბერზე.





ოპერა „ჰენზელი და გრეტელი“

კაცუნა დგას ტყეში

Ein Männlein steht im Walde


1. Ein Männlein steht im Walde ganz still und stumm, es hat von lauter

6. Purpur ein Mäntlein um. Sagt, wer mag das Mäntlein sein, das du stehst im

12. Wald allein mit dem purpurroten Mäntlein?

ეს სიმღერა გამოცანაა ტყის ზღაპრულ არსებაზე, რომელიც სინამდვილეში ასკილის ბუჩქია. იგივე სიმღერა გამოყენებულია ოპერაში „ჰენზელი და გრეტელი“.

იმღერე ქრომატიული გამა ფა მაჟორი.




ჯადოსნური ფლეიტა


► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო.

გაეცანი და იმღერე ტონალობა რე მაჟორი. უპასუხე შეკითხვას: რამდენი საგასაღებო ნიშანი აქვს რე მაჟორს?


გამა რე მაჟორი



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



ქრომატიული გამა რე მაჟორი. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.



გაიხსენე, ასეთ რიტმულ დაჯგუფებას **პუნქტირული რიტმი** ეწოდება. პუნქტირი წერტილს ნიშნავს და გრძლიობას თავისივე დროის ნახევარს უმატებს.



მოუსმინე ეპიზოდებს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტიდან“: უვერტიურას, ტამინოს არიას, პაპაგენოს არიას „ეს ჟღერს ასე ნათლად“, ლამის დედოფლის არიას, პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტს.



უპასუხე კითხვებს:

- რომელი გმირი შეიძლება დაახასიათოს კომპოზიტორმა ასეთი მუსიკით: დადებითი თუ უარყოფითი?
- მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელი შეიძლება იყოს ზღაპრის დასაწყისი?



ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“

3. სად უღერს მუსიკა, როგორც ჯადოსნური, ზღაპრული? რა მუსიკალური ხერხით იქმნება ზღაპრული, იდეალური უღერადობა? რა სძენს მუსიკას ასეთ უღერადობას? (მუსიკალური ინსტრუმენტის ან ხმის რეგისტრი, ტემპრი თუ ბგერათა ქრომატიული წყობა).
4. რომელ კილოში უღერს პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი*, მაჟორულსა თუ მინორულში? ისინი მოჯადოებული გმირები არიან თუ გამარჯვებული?



ნაიკითხე და გაიხსენე: რა არის დუეტი?



ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756-1791) – ავსტრიელი კომპოზიტორი, ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელია. მოცარტმა შექმნა შედეგები იმ დროს არსებულ ყველა მუსიკალურ ჟანრში. იგი ადრეული ასაკიდან თხზავდა მუსიკას და ბრწყინვალედ უკრავდა კლავესინსა და ვიოლინოზე. ევროპის ყველა სამეფო კარი და წარჩინებული არისტოკრატების სალონი ბედნიერი იყო, მიეღო ავსტრიელი ფუნდერკინდი და მოესმინა მისი შესრულება. მოწიფული ასაკიდან მოცარტი მშობლიურ ზალცბურგში მუშაობდა, ხოლო მოგვიანებით დასახლდა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები. მოცარტის ბოლო ოპერებია „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჯოვანი“ და „ჯადოსნური ფლეიტა“; მისი ინსტრუმენტული ნაწარმოებებიდან ცნობილია სიმფონიები №39, 40, 41, საკლავესინო და სავიოლინო კონცერტები, სონატები, ვარიაციები; ავსტრიელი კომპოზიტორის ბოლო ნაწარმოებია გენიალური რეკვიემი.

ვაშლის გულში

იდირიჟორე და იმღერე ნოტების დასახელებით, ფრაგმენტი მოცარტის ოპერ-იდან „ჯადოსნური ფლეიტა“. დაადგინე, საგასაღებო ნიშნების მიხედვით, რომელ ტონალობაშია ჩანერილი მოცემული ფრაგმენტი: დო მაჟორში, ფა მაჟორში, სოლ მაჟორში თუ რე მაჟორში. ფრაგმენტი იწყება გარე ტაქტით – სუსტი დროით თუ სრული ტაქტით – ძლიერი დროით.

ეს ჟღერს ასე ნათლად

Das klingen so herrlich

W. A. Mozart

Diese Melodie stammt aus der berühmten Oper »Die Zauberflöte« von Wolfgang Amadeus Mozart



მოუსმინე ფრაგმენტს „ჯადოსნური ფლეიტიდან“: არიას „ეს ჟღერს ასე ნათლად“, გერმანულ საბავშვო სიმღერას „ვაშლის გულში“, რომელიც ამავე მელო-დიაზეა აგებული და გერმანულ ხალხურ სიმღერა „მძინარე მზეთუნახავს“.



უპასუხე კითხვებს:

1. მოცემული სიმღერებიდან რომელ სიმღერაშია გადმოცემული გმირის თავგადასავალი რეგისტრული ცვლილებით?
2. რომელ სიმღერებს ანიჭებს ზღაპრულობას ინსტრუმენტის ტემბრი?

იმღერე საბავშვო სიმღერა „ვაშლის გულში“ და განმარტე, რა საერთო აქვს მას მოცარტის ოპერის ფრაგმენტთან.

ვაშლის გულში

In meinem kleinen Apfel (Das klingt so herrlich)

Melodie aus «Die Zauberflöte».

M: W. A. Mozart
T: Elise Fromm



1. In mei-nem klei-nen A-pfel, da sieht es lus-tig aus:



Es sind da-rin fünf Stüb-chen, grad wie in ei-nem Haus.

2. In jedem Stübchen wohnen
zwei Kerne schwarz und fein,
die liegen drin und träumen
vom warmen Sonnenschein.

3. Sie träumen auch noch weiter
einen gar schönen Traum,
wie sie einst werden leuchten
am grünen Weihnachtsbaum.



მძინარე მზეთუნახავი

დადგით და გაითამაშეთ სიმღერა „მძინარე მზეთუნახავზე“.

Dornröschen



5. Da wuchs die Hecke riesengroß . . .
6. Da kam der junge Königssohn . . .
7. »Dornröschen, wache wieder auf.« . . .
8. Da feierten sie das Hochzeitsfest . . .
9. Da jubelte das ganze Volk . . .



კლასელებთან ერთად, იმღერე სიმღერა და შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები:

- ა) „მძინარე მზეთუნახავის ირგვლივ“ ხელჩაკიდებულნი წრეში დადექით.
- ბ) საჩვენებელი თითი ზემოთ ასწეთ და მიუთითეთ: „მზეთუნახავო, ფრთხილად იყავი, თითში ნემსი არ შეირჭო“!
- გ) შემოდის ბოროტი ფერია.
- დ) ხელები გაიშვირეთ ბოროტი ფერიისკენ.
- ე) ხელები გაიშვირეთ მზეთუნახავისკენ.
- 6) უფლისწული ძალით გაარღვევს წრეს, წრეში მდგომნი უკან დაიხვეთ.
- 7) უფლისწული ჯადოსნურ სიტყვებს ამბობს: „გაიღვიძე, მზეთუნახავო“ და ახსნის ბოროტი დედაბრის ჯადოს.
- 8) უფლისწული ხელს ჩაჰკიდებს მზეთუნახავს და ერთად ცეკვავენ.
- 9) ველანი ტაშს დაუკრავთ.

ამოიცანი მოტივი

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

◉ იმლერე და გაეცანი რე მაჟორის პარალელურ ტონალობა სი მინორს. რა საერთო აქვთ რე მაჟორს და სი მინორს?

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური




მერყევის გადაწყვეტა მყარში



◉ იმლერე და გამოსახე რიტმული სურათი:



მოუსმინე ქრომატიულ მაჟორულ და მინორულ გამებს. მიუსადაგე ჟღერადობას ნახატები. შემდეგ ჩანერე გამები შენი ფანტაზიით, სხვადასხვა ნიშნით.





იმღერე და ამოიცანი, რომელ კილოსა და წყობაშია დაწერილი ესა თუ ის მოტივი.



დედა ბატის ზღაპრები

დააკვირდი ნახატებს. ხელით გამოსახე რიტმი, ფეხით – მეტრი.



იმღერე:

ქრომატიული გამა დო მაჟორი.



ქრომატიული გამა ლა მინორი.



ფრანგმა კომპოზიტორმა მორის რაველმა შექმნა საორკესტრო პროგრამული* ნაწარმოები „დედა ბატი“, რომელიც რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი სხვადასხვა ზღაპრის გმირის შესახებ მოგვითხრობს.

პირველ ნაწილში („მძინარე მზეთუნახავის პავანა“) სევდიანი მუსიკა მძინარე მზეთუნახავის მოწადილებულ მდგომარეობას გადმოსცემს. მოუსმინე და უპასუხე შეკითხვას:

რა სძენს ამ ნაწილს ჯადოსნურ ჟღერადობას – ბგერათა ქრომატიული წყობა, მინორული კილო თუ ორივე ერთად?

ახლა მოუსმინე სუიტის შემდეგ ნაწილებს: „ცეროდენა“ და „მწვანე გველი“.

მოსმენილი ორი ნაწილიდან, თითოეულს მოარგე შემდეგი წინადადებები:

- დაღონდა სახლისაკენ მიმავალი ცეროდენა – ჩიტებს საკენკი შეეჭამათ და ბიჭუნა გზას ვერ იკვლევდა.

- საოცარი მუსიკალური საკრავებისა და სათამაშოების ჯადოსნურ სამყაროში ჩინელი პრინცესა ლამაზ მელოდიებს უკრავდა.



უპასუხე კითხვებს:

1. რომელ ნაწილშია გადმოცემული ჯადოსნური ზღაპრული სამყარო ბგერათა ქრომატიული წყობით და რომელ ნაწილში ხუთბგერიანი ჩინური კილო-პენტატონიკით?
2. რომელი ნაწილი ჟღერს მინორულ კილოში?
3. რა როლი აქვს მუსიკალურ ინსტრუმენტების ტემბრსა და რეგისტრს სუიტის ნაწილში „მწვანე გველი“?



მორის რაველი

მორის რაველი (1875-1937) – ფრანგი კომპოზიტორი, მოღვაწეობდა პარიზში. რაველმა ბევრი სიახლე შეიტანა კლასიკურ მუსიკაში. მის შემოქმედებაში თანამედროვე პარიზის ცხოვრება აისახა. მრავალფეროვანია მისი მუსიკალური ინტერესები: ძველი და ახალი ფრანგული მუსიკა, ჯაზის რიტმები და ესპანური ფოლკლორი ენაცვლება ერთმანეთს. საყოველთაოდ ცნობილია ბრწყინვალე საორკესტრო პიესა „ბოლერო“, აგებული ერთი თემის საფუძველზე, მრავალფეროვანი ტემბრული ვარიაციებით; ნოვატორულია ბალეტ „დაფნისი და ქლოას“ პარტიტურა; გამოჩენილი პიანისტების რეპერტუარშია მისი საფორტეპიანო კონცერტები სოლ მაჟორი, რე მაჟორი (მარცხენა ხელისათვის); სოლო საფორტეპიანო ნაწარმოებები: „ლამის გასპარი“, „წყლის თამაში“. შესანიშნავია თხზულებები, შექმნილი ბავშვებისათვის: ოპერა-ბალეტი „ბავშვი და ჯადოსნობა“ და ინსტრუმენტული სუიტა „დედა ბატი“.

✔ **პროგრამულია მუსიკა**, სადაც კომპოზიტორი ნაწარმოების შინაარსს წინაწარ განსაზღვრავს. ზოგჯერ სათაურით, ზოგჯერ კი ლიტერატურული წინასიტყვაობით.


მზეთუნახავი და ურჩხული

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

🌈 იმღერე: ქრომატიული გამა სოლ მაჟორი



ქრომატიული გამა მი მინორი



მოუსმინე „მზეთუნახავისა და ურჩხულის დიალოგს“ მორის რაველის საორკესტრო სიუიტიდან „დედა ბატი“. იმსჯელე, როგორ ჟღერს მზეთუნახავის ლაიტმოტივი: სევდიანად, მხიარულად, მაჟორში თუ მინორში.

მოუსმინე ურჩხულის ლაიტმოტივს და იმსჯელე, რა შემთხვევაში ჟღერს იგი დაბალ რეგისტრში, რა შემთხვევაში – მაღალში. გამოარჩიე ეპიზოდი, სადაც ურჩხულისა და მზეთუნახავის დიალოგი ისმის.

გაიხსენე, რას ნიშნავს კონტრაპუნქტი* და დაადგინე, ნაწარმოების რომელ ეპიზოდში ჟღერს ამ ხერხით შექმნილი მრავალხმიანობა.

მოუსმინე სიუიტის ბოლო ნაწილს – „ზღაპრული ბაღი“.



უპასუხე კითხვებს:

როგორ მთავრდება ამბავი, რომელიც „ზღაპრულ ბაღში“ ვითარდება?

ჩახატე სხვადასხვა სიმბოლოებით მოსმენილისაგან მიღებული შთაბეჭდილება.



კონტრაპუნქტი – სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს ნოტი – ნოტის წინ, წერტილი – წერტილის წინ. კონტრაპუნქტი რამდენიმე დამოუკიდებელი მუსიკალური აზრის შერწყმაა. ის პოლიფონიური მუსიკის შექმნის ერთ-ერთი ხერხია.

ზღაპრული თუ ყოფითი?

მოუსმინე და გამოიცანი სანოტო ჩანაწერში, რომელ რიტმულ დაჯგუფებას შეესაბამება ტაშით გამოსახული რიტმი. დაასახელე, დაადგინე, რომელი რიტმული დაჯგუფება არის შენთვის უცნობი?



სინკოპა რიტმული დაჯგუფებაა, სადაც მახვილი (აქცენტი) ძლიერი დროიდან სუსტ დროზეა გადატანილი.

იმღერე სინკოპებით ჩანერილი დო მაჟორი.





მოუსმინე ფრაგმენტებს კლოდ დებიუსის ნაწარმოებიდან „პრელუდი ფავნის ნაშუადღევ დასვენებისათვის“, ასევე ორ პიესას „გოლივოგის ქეიქუოქი“ (საფორტეპიანო პიესების ციკლიდან „საბავშვო კუთხე“) და „პატარა ზანგი“.

დაადგინე:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ქმნის ზღაპრულ-მითიურ სახეს?
- რა მუსიკალური ხერხებით (დისონანსი, კონსონანსი, მაჟორული თუ მინორული კილო, ქრომატიული ბგერათა წყობა, მკაფიო თუ თავისუფალი რიტმი) არის შექმნილი ზღაპრული სახე.

მოსმენილი ნაწარმოებები ეკუთვნის ფრანგ კომპოზიტორ კლოდ დებიუსის. ზღაპრული, ფანტასტიკური მუსიკით კომპოზიტორმა დახატა მითიური გმირის, ტყის კეთილი სულის, ფავნის სახე. ფავნი, რომელიც მთებში, ტყეებში, მდელოებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობს. იგი უკრავს ფლეიტაზე, შეჰხარის და ტკბება ბუნებით. ფავნი, ბერძნულ მითოლოგიაში, პანის სახელით არის ცნობილი.



მოუსმინე ფრაგმენტებს დებიუსის საფორტეპიანო პიესებიდან და დაადგინე როგორი ჟანრის მუსიკაა: სასიმღერო თუ საცეკვაო? როგორი რიტმული სურათი აქვს პუნქტირული თუ სინკოპირებული?

გოლივოგი ნაჭრისგან გაკეთებული სასაცილო თოჯინაა; ქეიქუოქი ზანგების ცეკვაა, სიტყვასიტყვით, „ღვეზელით გასეირნებას“ ნიშნავს. ეს ცეკვა რეგთაიმის წინამორბედაა. სიტყვა „რეგთაიმი“ „განყვეტილ, გახლეჩილ დროს“ ნიშნავს, რაც ცეკვაში გამოხატულია მელოდიის სინკოპირებული რიტმით. ორივე ცეკვამ ჯაზურ მუსიკაში ჰპოვა ასახვა. პიესა „პატარა ზანგი“ აგებულია რეგთაიმის რიტმზე. კლოდ დებიუსი იყო პირველი კომპოზიტორი, რომელმაც ევროპულ მუსიკაში ამ ცეკვების რიტმები შეიტანა.



კლოდ დებიუსი

კლოდ დებიუსი (1862-1918) – ფრანგი კომპოზიტორია, მოღვაწეობდა პარიზში, რამოდენიმე წელი ცხოვრობდა რუსეთსა და იტალიაში. დებიუსიმ საფუძველი ჩაუყარა ახალ მუსიკალურ სტილს, შემოიტანა ორიგინალური მუსიკალური ფორმები, დიდი ადგილი დაუთმო ტემბრულ გამომსახველობას. მან შექმნა ერთი ოპერა „პელეასი და მელიზანდა“; მისი საორკესტრო ნაწარმოებებიდან ცნობილია „ნოქტიურნები“, „ზღვა“ და „პრელუდია ფავნის ნაშუადღევ დასვენებისათვის“; საფორტეპიანო ჟანრებიდან: 24 პრელუდია, სუიტები „სახეები“ და „საბავშვო კუთხე“, იგი წერდა საინტერესო სტატიებს მუსიკის, თავისი თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ.

გამოიცანი ინტონაცია

კლასელებთან ერთად იმღერე სინკოპებით ჩანერილი გამა დო მაჟორი და გამო-
სახე მეტრი.



მოუსმინე ალექსანდრე სკრიაბინის სამ პრელუდს. რომელი პრელუდი მო-
გაგონებს სიტყვებს, რომლებითაც იწყება ყველა ზღაპარი „იყო და არა იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.“

მოცემული სიტყვებიდან – იდუმალი, დაძაბული, სევდიანი – რომელი შეესაბამე-
ბა მოსმენილ პრელუდებს?



მოუსმინე ეპიზოდს იგორ სტრავინსკის ბალეტიდან „ფასკუნჯი“; „მზეთუ-
ნახავისა და ურჩხულის“ დიალოგს მორის რაველის სუიტა „დედა ბატიდან“; გმირე-
ბის ცეკვის ეპიზოდს „ვალსს“ სერგეი პროკოფიევის ბალეტი „კონკიადან“.

დაადგინე, რომელ ეპიზოდშია ასახული გმირების დიალოგი, რომელში – უკვდა-
ვი კაშჩეის როკვა, რომელი ეპიზოდი ასახავს ზღაპრული გმირების ცეკვას?




ბალეტი „კონკია“

იმღერე:

ქრომატიული გამა ფა მაჟორი.



ქრომატიული გამა რე მინორი.



საახალწლო ზღაპარი – შემაჯამებელი



მოისმინე ფრაგმენტები მორის რაველის, კლოდ დებიუსის, პიოტრ ჩაიკოვსკის, ოტორინო რესპიგის ნაწარმოებებიდან. წაიკითხე და გააფორმე ზღაპარი მოცემული ეპიზოდებით. შეასრულე დავალება კომპიუტერული პროგრამა LMMS-ის გამოყენებით.



„საახალწლო ზღაპარი“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ზღვის ფსკერზე, მშვენიერი სამეფო გაშლილიყო. ხელმწიფის ულამაზეს ასულ ნამს თავს ევლებოდნენ ზღვის არსებები. ერთად მღეროდნენ, ცეკვავდნენ, კითხულობდნენ ზღაპრებს ზღვის, მიწისა და ცის სამეფოებზე. ნამს განსაკუთრებით მოსწონდა საახალწლო ამბების მოსმენა; ოცნებობდა, ენახა თოვლიანი ახალი წელი. ერთხელაც, საუკეთესო მეგობარ ნიჟარა მარგალიტთან ერთად ნაპირისაკენ გაცურა.

ამასობაში შებინდდა. ციდან თოვლის ფიფქები ცვიოდა. განცვიფრებული ნამი აღტაცებით შეჰყურებდა თოვლს. შორიდან ისმოდა საახალწლო დღესასწაულის ხმები, ბავშვების ჟრიაბი, მუსიკა და ფოიერვერკის ქუხილი. ცაში უამრავი ლამაზი ფერი ირეოდა.

ნამის მზერა ეულმა, მოწყენილმა ჭაბუკმა მიიპყრო. ნამს მიწის მცხოვრების გაცნობა მოუწია და მიუახლოვდა მას. ყმანვილის მკაცრი მზერისაგან დამფრთხალი, ადგილს გაშორდა. დალონდა ნამი, აღარც თოვლი ახარებდა, აღარც ახალი წელი. ზღვაში შეცურდა. გაკვირვებული შეჰყურებდა მარგალიტი მეგობრის ასეთ გარდაქმნას. მოესმა ნამის ხმა: – სახლში ვბრუნდებითო. შეწუხდა ხელმწიფე, მოიხმო მრჩეველი და ჰკითხა:

– როგორ დავებრუნოთ ხალისი და მხიარულება ჩემს ასულსო?

– ზღვისპირა სამეფოში მოჯადოებული უფლისწული ალი ცხოვრობს. ყველას, ვისაც შეხედავს, დარდით აავსებს. სწორედ მან წაართვა ნამს ხალისი. – თქვა მრჩეველმა. – მხოლოდ ჩვენი სამეფოს ჯადოსნურ წყაროს შეუძლია დაიხსნას უფლისწული და გაათავისუფლოს მისი მზერით მოჯადოებული ნამიც.

– ვინ წაუღებს წყაროს წყალს უფლისწულს? – იკითხა ხელმწიფემ.

– მე გავცურავ ნაპირისკენ, ვიპოვი ალს, ვაპკურებ წყაროს წყალს და გადავარჩენ მეგობარს, – გაისმა მარგალიტის ხმა.

მიქრის და მიაპობს ტალღებს მარგალიტი. სამეფო სევდამ მოიცვა, აღარც სიცილი ისმის და არც მხიარული თამაშის ხმები – ბუტბუტებენ ტალღები და ნაპირისკენ მიაცილებენ მარგალიტს. თოვლის ფიფქები ეგებებიან, გზას უჩვენებენ და თან მღერიან:

აქეთ წამოდი, უფლისწულს სძინავს, აპკურე წყალი, სანამ დრო არის, წვეთი მოხვდება ალის სახეზე და გაცოცხლდება მასში სიკეთე. ხალისი შეცვლის სევდას ნამისას, კვლავ სიხარულის დადგება ჟამი და დამარცხდება ბოროტი ნამი.

მარგალიტმა ჯადოსნური წყაროს წყალი აპკურა მძინარე ალს და გამოაღვიძა. სიკეთით და სიყვარულით აივსო უფლისწულის მზერა. ხელმწიფე, ზღვის არსებები და ხალისიანი ნამი მხიარულად შეხვდნენ ახალ წელს. ცის, მიწისა და ზღვის სამეფოები საახალწლო ზეიმმა მოიცვა.

ტექნიკური ხმები – 1

ახალმა ტექნოლოგიებმა, კომპიუტერმა, მობილურმა, შექმნეს ახალი მუსიკალურ-ინტონაციური სივრცე. მათ შექმნასთან ერთად წარმოიშვა ახალი ხმოვანება, ახალი ხმა-ბგერები, რომლებსაც ისინი გამოსცემენ. ეს ხმა-ბგერები ჟღერს სხვადასხვა ოპერაციების შესრულებისას მაგ., კომპიუტერის გახსნა, გათიშვა, მესიჯის გაგზავნა, მიღება, კომენტარისა და სატატუსის დადება, პოსტის გაზიარება – ყველა ეს ოპერაცია გამოსცემს განსხვავებულ და ორიგინალურ ხმა-ბგერებს. და თუ მათ მოვუსმენთ, შევკრებთ, დავაჯგუფებთ, გადავაქცევთ „სემპლებად“ და შევიტანთ მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში შესაძლებელია შევქმნათ ახალი კომპოზიციები. ისე, როგორც ვეძინდით სამყაროში არსებულ სხვადასხვა ბგერებისა და ინტონაციებისაგან. ამ ინტონაციებში ჩანს განწყობა. სამყაროს ხმა-ბგერებში სხვა, ხოლო ტექნიკურ ხმებში სრულიად განსხვავებული. მოუსმინე ამ განსხვავებულ ხმა-ბგერებს, გაავლე პარალელი მათ შორის. მიუდევე შემოქმედებითად და შექმენი ახალი. ამ ყველაფერს ვსწავლობთ სამყაროდან. ვუსმენთ მას გულის ყურით, თუ როგორ უნდა დავწეროთ მუსიკა.



Windows-ისა და მობილურის ხმები

მოუსმინე აუდიო ჩანაწერს – კომპოზიციას, რომელიც ვინდოუსისა და მობილურის ტექნიკური ხმებისგანაა შედგენილი. ამოიცანი ისინი. დასახელე, რომელი ხმა-ბგერები იყო გამოყენებული ამ კომპოზიციაში და რომელი – არა. ვინდოუსის ხმები გამოსახე გრაფიკულად ან პიქტოგრამებით.



Windows-ისა და მობილურის ტექნიკური ხმებისაგან შედგენილი მუსიკალური კოლაჟის გრაფიკული გამოსახულება განლაგებული ტრეკებზე.

ტექნიკური ხმები – 2

McBook, iPhone – მოუსმინე აუდიო ჩანაწერს – კომპოზიციას, რომელიც McBook-ისა და iPhone-ს ხმებისგან არის შედგენილი. ამოიცანი და განასხვავე ეს ხმები. დააკვირდი **ვიდეოს**, სადაც სიმფონიური ორკესტრი ასრულებს კომპოზიციას, რომელიც ასეთივე ტექნიკური ხმებისგანაა შექმნილი.

Book-ისა და iPhone-ის ხმები გამოსახე გრაფიკულად ან პიქტოგრამებით.



McBook-ისა და iPhone-ს ტექნიკური ხმებისგან შედგენილი მუსიკალური კოლაჟის გრაფიკული გამოსახულება განლაგებული ტრეკებზე.



მოუსმინე მუსიკალურ კოლაჟებს და გამოხატე გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით.



აარჩიე ტექნიკური ხმები, გადააქციე „სემპლებად“, შეიყვანე მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში და შექმენი სხვადასხვა მუსიკალური კოლაჟები.



კოლაჟი ფრანგული სიტყვაა და შენებებს ნიშნავს. ხელოვნებაში იგი განსხვავებული ფორმების, ნაწილებისგან ახალი მთლიანის შექმნას ჰქვია. მუსიკალური კოლაჟი სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისგან შედგენილი ახალი მუსიკალური ნაწარმოებია.

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და ხმოვან გზას ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში, „ტრეკებზე“ განლაგებულ ადამიანის ან საკრავის ხმას.

„ლუპი“ და „პატერნი“




„ლუპი“ ინგლისური სიტყვაა და კვანძს, წრიულ ფორმას ნიშნავს. ის არის ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველი ხერხი. ელექტრონული მუსიკაში ასეთი ციკლური ფორმა წარმოიქმნება „ლუპების“ გამეორებით. ბავშვებისათვის უფრო გასაგები რომ გახდეს, „ლუპი“ შეიძლება შევადაროთ ერთ ან რამდენიმე განმეორებად ტაქტს, სადაც ჩანერილია ერთი და იგივე მოტივი. ის ოსტინატოს პრინციპით არის აგებული. ვიზუალურად შეიძლება გლობუსს შევადაროთ სადაც დასაწყისი და დასასრული ერთმანეთში იდეალურად გადადის – შეერწყმის. როგორც აღვნიშნეთ, „ლუპი“ რამდენჯერმე გადაბმული ერთი და იგივე მონაკვეთია. მათი გადაბმის ადგილი მსმენელისთვის შეუმჩნეველი რჩება. „პატერნი“ ინგლისური სიტყვაა და უმცირეს ნაწილაკს ნიშნავს. შეგვიძლია, შევადაროთ ინტონაციას მუსიკაში. ელექტრონული მუსიკაში ეს პატარა ინტონაცია, „ფაზლის“ ნაწილი, რისგანაც ეწყობა „ლუპი“. მაგ., მობილურის ცალკეული ხმები, ზარები – იგივე „პატერნებია“. „ლუპის“ ხანგრძლივობა სხვადასხვაგვარია და ეს განაპირობებს მის მრავალფეროვნებას.

რამოდენიმე პატერნისაგან იქმნება „ლუპი“, რომელიც უსასრულოდ მეორდება და ქმნის კომპოზიციას. ის მუსიკის შექმნის გარკვეული ხერხია. მეორდება და მეორდება, თითქოს წრეზე დადის და ასრულებს ერთსა და იმავე მოძრაობას. „ლუპით“, ამ ხერხით, იქმნება როგორც ელექტრონული მუსიკა, ასევე თანამედროვე მუსიკის დიდი ნაწილი. ლუპის ასეთი მოძრაობა შეგვიძლია შევადაროთ ფერხულებს, სადაც სიმღერის ერთი და იგივე მონაკვეთი სრულდება წრეზე უსასრულოდ. ელექტრონული მუსიკის კომპოზიციებში მოტივი გადადის ტალღისებურად, წყვეტილად, მოქნილად, ამიტომ მისთვის დამახასიათებელია ისეთი გამომსახველობითი ხერხები, როგორიცაა სტაკატო, ლეგატო, გლისანდო, პორტამენტო.



მოისმინე ფრაგმენტი სტივ რაიხის ნაწარმოებიდან „რვა ხაზი“ და აღმოაჩინე „პატერნები“.



პატერნების გრაფიკული სურათი



ჯ. პლატო – ფენაკისტისკოპი



ლუპის გრაფიკული სურათი



ბავშვები უსმენენ ლუპის ხმოვან ნიმუშებს.



გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ ვიდეოს ჯ. პლატო – ფენაკისტისკოპი

ინტერვიუ დიჯეისთან

მასწავლებელი ბავშვებს გააცნობს ქართველ დიჯეებს. დიჯეი ინგლისური სიტყვაა disc-jockey და ნიშნავს ადამიანს რომელიც ქმნის ელექტრო მუსიკას. დიჯეი – შემოკლებით DJ.




დიჯეი ზურკინი DJ Zurkin

Zurkin ქართველი დიჯეი და ლეიბლ Vodkast Records – ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. მუსიკით იგი ადრეულ ასაკში დაინტერესდა, როდესაც ლამის კლუბებში სიარულის პირველი გამოცდილება მიიღო. ეს ინტერესი მალე პროფესიულ საქმიანობაში გადაიზარდა და ზუკამ რამდენიმე წელიწადში დიჯეინგიც დაიწყო. მისი მუსიკალური ინსპირაციები ბევრად მრავალფეროვანია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მიმართულება. 2014 წელს, ელექტრონული მუსიკის და ინოვაციური პოპ კულტურის დაჯილდოვების ცერემონიაზე Electronauts Zurkin წლის საუკეთესო დიჯეიდ დასახელდა. ამის პარალელურად, მეგობრებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლეიბლს და ვინილების მაღაზია Vodkast Records-ს – „ერთი წელი არც არის, რაც ფირფიტების მაღაზია გავხსენით თბილისში და გვინდა ეს პატარა სივრცე ყველა მუსიკის მოყვარული ადამიანისთვის საყვარელ თავშესაფრად ადგილად ვაქციოთ“ – ამბობს Zurkin „ვიტამინთან“ ინტერვიუში. დღესდღეობით Zurkin ქართველი კლუბების და ფესტივალების ერთ-ერთი ფავორიტი დიჯეია.

თბილისში ელექტრონული მუსიკის მოყვარულების (მსმენელების) რიცხვი დღითიდღე იზრდება. მისი პოპულარიზაცია პირდაპირ კავშირშია მოქმედ კლუბებთან, ასევე ელექტრონული მუსიკის პიონერებთან და ახალი თაობის დიჯეებთან.

ბოლო ათწლეულია ქართველი დიჯეები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ საერთაშორისო რუკაზე და შეიძლება გადაჭრით ითქვას რომ თბილისი უცხოელი მუსიკოსებისთვის საყვარელი ადგილია.



მოისმინე კომპოზიციები IC122 (სანდრო თავართქილაძე) – Early Morning, I'm Alright, Toke (თორნიკე ნიკოლაიშვილი) — Lost Mood, Micro Bax (ბაქი ლორთქიფანიძე) – Walter.




ლეიბლი ინგლისური სიტყვაა (label), ნიშნავს მუსიკალურ პლატფორმას, რომელიც განსხვავებულ არტისტებს აერთიანებს. იდეოლოგიით, ჟღერადობითა და შემოქმედებით.

დიჯეი რატი DJ Rati

რატი ერაძე დამწყები პროდიუსერი და დიჯეია. ელექტრონული მუსიკის პროდიუსინგით 2013 წელს დაინტერესდა. ამ ინტერესის მთავარი მიზეზი იყო არა მუსიკალური, არამედ ტექნიკური მხარე – ხმასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ იგი თვითონვე ქმნიდეს მუსიკალურ ჟღერადობას. პროდიუსინგი და მუსიკოსობა სრულიად განსხვავებული ცნებებია – იყო მუსიკოსი, არ ნიშნავს იყო პროდიუსერი და პირიქით.

– „როგორც დიჯეი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი გამოცდილებაა, ამიტომაც დიჯეების უმეტესობას დაკვრის სწავლა სწორედ პროცესის დროს უწევს ღამის კლუბში. შესაბამისად, ძირითადად შეუძლებელია სახლში გახდეს პროფესიონალი დიჯეი და შემდეგ გახვიდეს ასპარეზზე. ბევრი შეცდომის დაშვებით, ხალხის თანადგომითა და ისევ გაგრძელებით“ – ამბობს რატი.



ბავშვები ისმენენ რატის ორ კომპოზიციას – Have A Nice Flight და „მეორეული“.



გლისანდო იტალიური სიტყვაა (glissando) და სრიალს ნიშნავს. ადამიანის ხმით და მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან ტალღისებურ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე.

პორტამენტო იტალიური სიტყვაა (portamento) და გადატანას ნიშნავს. ეს არის შესრულების ხერხი, რომლის დროსაც ნოტი მაშინვე ზუსტად კი არ აიღება, არამედ თანდათანობით, მოქნილად, გადადის შემდეგი ნოტის სიმაღლეზე.



შეარჩიე რიტმული პატერნები, შეადგინე ლუპი გადააქციე სემპლებად და ააჟღერე მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში.

როგორ შევადგინოთ ლუპი?

გაიმეორე და გაიაზრე

ლუპი ინგლისური სიტყვაა და კვანძს, წრიულ ფორმას ნიშნავს. ის ვიზუალურად მარტივად წარმოვიდგენილია ფოტოზე. გაიხსენე ქართული ხალხური სიმღერები: „მამლი მუხასა“, „შინა ვორგილ“, „ჩიტის ნალი მიპოვნია“. ამ სიმღერებს თქვენ წინა კლასებში ხელჩაკიდებულნი ფერხულში ასრულებდით, დადიოდით წრეზე და მღეროდით ერთი და იგივე მელოდიას. სცადე, ამოიღო რომელიმე სიმღერიდან პატარა მოტივი. მაგალითად, „მამლი მუხასა“ დასაწყისი ფრაზა სიტყვებით: „მუხა წონწილებს, წონწილებს, მამლი მუხასაო“. ეს მოტივი რა ნოტითაც იწყება, იმავეზე მთავრდება, ასევეა ლუპში. „მამლი მუხასას“ ეს პატარა ინტონაცია, გადააქციე სემპლად, შეიყვანე კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამაში, ააჟღერე, გაიმეორე რამდენჯერმე და „დაატრიალე წრეზე“. ეს არის ლუპი, რომელიც ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველი ხერხია. თუ ამ ინტონაციას კიდევ უფრო დავანაწილებთ, დავყოთ პატარ-პატარა სემპლებად-ხმებად, მივიღებთ პატერნს. პატერნების ერთობლიობა ჰქმნის ლუპს.

მოიძიე საყვარელი სიმღერებიდან ლუპის შესაბამისი მოტივები და კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამა LMMS-ში შექმენი ლუპის მაგალითები.



ლუპის
გრაფიკული
გამოსახულება

მამლი მუხასა – ლუპის ნიმუში



ამოიცანი როგორი რიტმული დაჯგუფებით არის ჩანერგილი სიმღერის მელოდია?

ტექნიკური ხმები – 3

ამოიცანი ხმები:

უყურე, მოისმინე და ამოიცანი ხმა-ბგერები – Windows-ის ხმოვანი სქემიდან. ეს არის ერთგვარი კომპოზიცია, რომელიც Windows-ის სხვადასხვა ხმებისგან არის შედგენილი. დაასახელე ის ხმები რომლებიც ამ კომპოზიციაში არის გამოყენებული. გამოიცანი რომელი ხმა ისმოდა და რომელი არა.

შეარჩიე პატარა მოტივები – პატერნები, შეადგინე ლუპი გადააქციე სემპლებად და ააჟღერე მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში.



შეარჩიე პატარა – პატერნები, შეადგინე ლუპი, გადააქციე სემპლებად და ააჟღერე მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში.

ლიმილი

გაიხსენე და იმსჯელე რომელიმე საყვარელ ფილმზე. ჩამოთვალე, როგორი ჟანრის ფილმები გინახავს: კომედიური, ისტორიული, სათავგადასავლო. ალბათ, გაგიგია, რომ არსებობს მუნჯი კინო. ასეთ ფილმებში ძირითადი აქცენტი გადადის მსახიობის მიმიკასა და ჟესტიკულაციაზე. მუსიკასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ქმნის ძლიერ ემოციურ კავშირს მაყურებელსა და მოქმედებას შორის. მას შეუძლია, მაყურებელი დაამშვიდოს, გაახალისოს, გაუღვიძოს სიმპათია ან პირიქით, უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პერსონაჟის ან მოვლენის მიმართ. მუსიკა ამძაფრებს კადრში გადმოცემულ განწყობას, ან პირიქით, უპირისპირდება ასახულ გრძნობებს, ზოგჯერ კი წინასწარ ამზადებს მოსალოდნელ სიტუაციას.

კინოხელოვნების განვითარების ეტაპზე, მუნჯი კინოს მსვლელობას კინოთეატრში, მუსიკალური გამფორმებელი – ტაპერი ფორტეპიანოზე ასრულებდა პოპულარული მელოდიების ფრაგმენტებსა და იმპროვიზაციებს. ზოგჯერ, ტაპერები მომავალში სახელგანთქმული კომპოზიტორები ხდებოდნენ. რუსი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი ამბობდა, რომ ტაპერად მუშაობა კინომუსიკის შექმნაში გამოადგა.

კინოხელოვნების განვითარებასთან ერთად იზრდებოდა კინომუსიკის როლი. ტაპერი შეცვალა ფილმისათვის სპეციალურად შექმნილმა მუსიკამ, რომელსაც ხმის ჩამწერ სტუდიაში წერდნენ და ფილმთან ერთად ამონტაჟებდნენ.

მუნჯი კინოს გენიალური მსახიობი და რეჟისორი ჩარლი ჩაპლინი ყველა თავისი ფილმისათვის თავად წერდა მუსიკას.

უყურე ფინალურ ფრაგმენტს ფილმიდან „ახალი დროება“ მუსიკის გარეშე, იმსჯელე ეპიზოდის შინაარსზე. შემდეგ მოუსმინე სამ ფრაგმენტს ფილმის მუსიკალური თანხლებიდან და ამოიცანი, რომელი ფრაგმენტი შეესატყვისება კადრებს. ახსენი, რის მიხედვით გააკეთე არჩევანი.



ჩარლი ჩაპლინის მელოდიაზე ფილმი „ახალი დროებიდან“ პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა მაიკლ ჯექსონმა შექმნა სიმღერა Smile („ლიმილი“). მოუსმინე სიმღერას და შეადარე ორიგინალს.



უპასუხე კითხვებს:

- რომელი გამომსახველი ხერხითაა გადმოცემული ფილმის ბედნიერი დასასრული ნათელი მომავლის იმედი?
 - მსახიობთა მიმიკითა და ჟესტიკულაციით;
 - კადრში ასახული გარემოთი;
 - მუსიკალური თანხლებით.
- იმღერე და დაადგინე, რომელ ტონალობაშია ჩანერილი სიმღერა: დო მაჟორში, ფა მაჟორში თუ სოლ მაჟორში.

ლიბილი

Smile

Smile, tho' your heart is aching, Smile, even tho' it's breaking When there are clouds in the sky, you'll get by, If you smile through your fear and sorrow, Smile and may - be to - mo - row, You'll see the sun come shin - ing thru for you. Light up your face with glad - ness, Hide ev - 'ry trace of sad - ness. Al - tho' your fear may be ev - er so near, That's the time you must keep on try - ing, Smile, what's the use of cry - ing, You'll find that life is still worth while, if you'll just Smile. Smile.



მიმიკა ბერძნული სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს; ეს სახის ნაკვეთების გამოკვეთილი მოძრაობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვხატოთ სხვადასხვა განცდა – სიხარული, სევდა და ა. შ.

ჟესტიკულაცია არავერბალური (უსიტყვო) კომუნიკაციის ფორმაა, გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობებისა თუ აზრების გამოხატვის საშუალებას.

დიდი ქალაქის ჩირაღდნები



მოუსმინე რამდენიმე მუსიკალურ თემას ჩარლი ჩაპლინის ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და დააკვირდი კადრებს; უპასუხე შეკითხვას: როგორ ფიქრობ, რომელ პერსონაჟებს ახასიათებს ეს მუსიკალური თემები?



გთავაზობ ორ ეპიზოდს ფილმიდან. ამოიცანი მოსმენილი თემები და შეამოწმე, რამდენად სწორი იყო შენი ვარაუდი.





უპასუხე კითხვებს:

1. რომელ ეპიზოდშია ორივე პერსონაჟის მუსიკალური დახასიათება?
2. რომელ ეპიზოდში ახასიათებს მუსიკა მხოლოდ ერთ პერსონაჟს, მიუხედავად იმისა, რომ კადრში ორი პერსონაჟია? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.
3. ვინ მოაგონდება მთავარ გმირს, როდესაც გზაზე დაგდებულ ყვავილს ნახავს. რა მიგვანიშნებს ამაზე?
4. თქვენი აზრით, როგორ განწყობას გვიქმნის მუსიკალური თანხლება ფილმის ფინალში?
 - ისინი დაქორწინდებიან და ბედნიერად იცხოვრებენ;
 - ისინი სამუდამოდ დაშორდებიან ერთმანეთს;
 - ქალიშვილის მეხსიერებაში მანანნალა ერთ-ერთ უძვირფასეს ადამიანად დარჩება.

დახატე მუსიკალური თანხლება

გამოსახე რიტმული სურათი.



უპასუხე კითხვებს:

1. მოუსმინე რამოდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და დაადგინე, რომელი ფრაგმენტი გვიქმნის წარმოდგენას, რომ მთავარი გმირები ერთად იქნებიან?
 - ა) კრივის ეპიზოდი;
 - ბ) ფინალური ეპიზოდი;
 - გ) გმირების პირველი შეხვედრა;
 - დ) ვალსი.

დააკვირდი ფილმის ეპიზოდს და იმსჯელე, მუსიკა ფრაგმენტის საერთო განწყობას გადმოსცემს თუ რომელიმე გმირის?

შეეცადე, ფილმის მუსიკალური თანხლება პიქტოგრამებით ჩაწერო.

ქრონომეტრაჟი

უყურე ფრაგმენტს ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და უპასუხე შეკითხვას:



რომელი პერსონაჟის სახეს გვიხატავს ფილმის მუსიკალური თანხლება?

დააკვირდი კადრებს ამავე ფილმიდან, მუსიკალური თანხლების გარეშე და მუსიკალურად გააფორმე მოცემული ნაწარმოებებით: რევაზ ლალიძის პიესა „საჭიდაო“ და მისი მუსიკა კინოფილმისათვის „ყვავილი თოვლზე“.

დავლების შესასრულებლად დაგჭირდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება. შეარჩიე მუსიკალური ნაწარმოები, შეადარე გასახმოვანებელი კადრების და მუსიკალური ნაწარმოების ქრონომეტრაჟი; კომპიუტერული პროგრამა Audacity-ს მეშვეობით გამოყავი შერჩეული ფრაგმენტი, გახსენი კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში და ააჟღერე კადრების შესატყვისად.

უყურე ფილმს პირვანდელი გახმოვანებით, შემდეგ – ახალი მუსიკალური თანხლებით. იმსჯელე და შეადარე ნანახი საკუთარ ნამუშევარს.




ქრონომეტრაჟი – რაიმე პროცესების და მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.



ჩარლი ჩაპლინი „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“


იმღერე სი ბემოლ მაჟორი.



გაახმოვანე კადრები – შემაჯამებელი გაკვეთილი

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

● იმღერე და გაეცანი სამი სახის სოლ მინორს.



იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ნიშანი სანოტო სისტემის ქვემოთ დგას, იგი მიგვითითებს, რომ ნოტები ოქტავით ქვემოთ უნდა აჟღერდეს.

დააკვირდი კადრებს ფილმიდან „ოქროს ციებ-ცხელება და იმსჯელე, რას გამო-სახავს ფილმის მუსიკალური თანხლება?

ორი მუსიკალური ფრაგმენტიდან შეარჩიე ფილმის ეპიზოდის შესატყვისი; პროგრამა Audacity-ის მეშვეობით დაადგინე მუსიკალური ფრაგმენტის ქრონომეტრაჟი და შეუსაბამე მოცემულ კადრებს.

გასახმოვანებლად შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებიდან ერთ-ერთი იოჰან შტრაუსის „რადეცკის მარში“, ხოლო მეორე ეკუთვნის ავსტრიელ კომპოზიტორ ფრანც შუბერტს.



ჩარლი ჩაპლინი „ოქროს ციებ-ცხელება“

უყურე კადრებს ფილმი „ოქროს ციებ-ცხელებიდან“, დაკვირვებით მოუსმინე ორ მუსიკალურ ნაწარმოებს: ფერენც ლისტის „უნგრულ რაფსოდია“ №6 და რიხარდ ვაგნერის „საქორწილო მარშს“ ოპერა „ლოენგრინიდან“; პროგრამა Audacity-ის მეშვეობით, გამოყავი შერჩეული ფრაგმენტი, გახსენი LMMS-ში და ააჟღერე კადრების შესატყვისად,

ნახე ფილმი პირვანდელი მუსიკალური თანხლებით და იმსჯელე, რამდენად სწორი იყო შენი ვარაუდი.

შეარჩიე რომელიმე მუნჯი კინოფილმი და გააფორმე სასურველი კადრები მუსიკალური ფრაგმენტებით, რომელსაც თავადვე მოიძებ.

ვარიაცია

დააკვირდი სანოტო ჩანანერს და იმღერე მოცარტის დო მაჟორული ვარიაციების თემა.



ვარიაცია ლათინური სიტყვაა და სახეცვლას ნიშნავს.

პროფესიულ მუსიკაში ჩამოყალიბდა მუსიკალური ფორმა „თემა ვარიაციებით“ – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგება თემისა და შემდგომ მისი სახეშეცვლილი გამეორებებისაგან.



მოუსმინე მოცარტის ვარიაციებს, რომლის თემაში გამოყენებულია ფრანგული ხალხური სიმღერის მელოდია; იმსჯელე, როგორ იცვლება, ვარირებს თემა.

დააკვირდი ფრაგმენტს მიხეილ კობახიძის კინოფილმიდან „ქოლგა“.

როგორც ხედავ, მუსიკალური თანხლებით დახასიათებულია ფილმის სიმბოლური პერსონაჟი „ქოლგა“. ეს თანხლება ყოველთვის თან სდევს ქოლგის გამოჩენას, ანუ მისი მუსიკალური თემაა.



მიშა კობახიძე „ქოლგა“



უპასუხე კითხვებს:

1. სად, რომელ ეპიზოდებში ჟღერს ქოლგის თემა; ყოველთვის ერთნაირია იგი, თუ ზოგჯერ სახეშეცვლილი?
2. თემის სახეცვლის შემთხვევაში, მუსიკის რომელი გამომსახველობითი ხერხით არის მოცემული ცვლილება? (იცვლება რიტმული სურათი, ტემპი, კილო)

თეატრი

თეატრის წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთ-ერთი თეორიით, თეატრი წეს-ჩვეულებებისა და მაგიური რიტუალებისაგან წარმოიშვა. ძველ რიტუალებში ყოველთვის იყო თამაში, მონაწილეები ხშირად იყენებდნენ ნიღბებსა და სპეციალურ კოსტუმებს. ადამიანი „თამაშობდა“ (მაგ., განასახიერებდა ღვთაებას) და ამით ზეგავლენას ახდენდა სხვა ადამიანებსა და ბუნებაზე. დროთა განმავლობაში ზოგიერთი რიტუალი საერო თამაშად იქცა და გართობას ემსახურებოდა. ასეთ თამაშებში მაყურებლებიც მონაწილეობდნენ. სხვა თეორიის თანახმად, რაც უფრო ვითარდებოდა ადამიანი, მით უფრო უძლიერდებოდა სურვილი, გამოეხატა საკუთარი თავი რაიმე სანახაობაში და ემოციური ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე.

ხელოვნების განვითარების მანძილზე, სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნებში თეატრის მრავალფეროვანი ჟანრები შეიქმნა. უმდიდრესი ტრადიციები აქვს ქართულ თეატრსაც.

თეატრმა გააერთიანა ხელოვნების სხვადასხვა დარგი. სპექტაკლი მწერლის, რეჟისორის, მსახიობთა დასის, მხატვრისა და მუსიკოსის ერთობლივი ნამუშევარია. დრამის, მუსიკისა და მხატვრობის გამომსახველი ხერხები პერიოდულად სხვადასხვა სიძლიერით მუდგენდებოდა და თეატრის ახალ ჟანრებს ბადებდა. ასე შეიქმნა მუსიკალური სპექტაკლები: ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, მიუზიკლი. მუსიკას ძლიერი ემოციური ზემოქმედება აქვს დრამატულ სპექტაკლშიც. იგი ყოველთვის ამჟღავნებს იმ ფარულს, რისი გამოთქმა არც სიტყვას და არც მიმიკა-ჟესტიკულაციას არ ძალუძს.

მუსიკალური გაფორმება თეატრალური სპექტაკლებს მუდმივად თან სდევს. ხშირად, ცეკვა და სიმღერა, სოლო თუ საანსამბლო ნომრები, სპექტაკლის სიუჟეტის განვითარების განუყოფელი ნაწილია.



მოისმინე გერმანელი კომპოზიტორის, ბერნარდ ფლისის სიმღერა „დაიძინე უფლისწულო“ „Schlaf, mein Prinzchen“, შექმნილი გერმანელი დრამატურგის, ფრიდრიხ ვილჰელმ გოთერის სპექტაკლისათვის „ესთერი“. სიმღერის ავტორად ადრე ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს მიიჩნევდნენ, შესაძლოა, განსაკუთრებული მელოდიურობისა და სხვა მუსიკალური ღირსებების გამო.

განსაზღვრე, როგორი შინაარსის შეიძლება იყოს თეატრალური პიესის ეს ეპიზოდი, სადაც ეს სიმღერა ჟღერს.


იმღერე სიმღერა Schlaf, mein Prinzchen.



მოისმინე ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმღერა „ზაზუნა“, რომელიც ასევე სპექტაკლისათვის შეიქმნა, კერძოდ, დიდი გერმანელი პოეტის, ვოლფგანგ გოთეს დრამისათვის „ზაზრობა ფლუნდერსვაილერში“. იმსჯელე სიმღერით გადმოცემულ განწყობაზე.



„პერ გიუნტი“



ჰენრიკ იბსენი
ნორვეგიელი დრამატურგი

დრამატულ თეატრში მუსიკას სხვადასხვა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს. ზოგჯერ, იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს სპექტაკლის განვითარებაში, ზოგჯერ მოქმედების ილუსტრაციას წარმოადგენს, ხან გამირთა ხასიათს ან ემოციურ განწყობას გადმოგვცემს, ხან პირიქით, მუსიკა სპექტაკლის სიუჟეტის კონტრასტულ ფონს ქმნის.

გაიხსენე ნორვეგიელი კომპოზიტორ ედვარდ გრიგის საორკესტრო სიუიტა „პერ გიუნტი“. სიუიტას, რომლის მუსიკასაც შენ იცნობ, საფუძვლად სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა დაედო. გრიგმა ეს მუსიკა, სხვა ფრაგმენტებთან ერთად, თავდაპირველად, ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრი იბსენის დრამისათვის შექმნა.

დრამაში მოთხრობილია ნორვეგიელი გლეხის პერ გიუნტის ცხოვრებისა და თავგადასავლის შესახებ. იგი ბუნებამ გოლიათური სიმაღლით, ძალითა და სიკეთით დააჯილდოვა, თუმცა ყველგან ფათერაკი დაჰყვება, რადგან ტრაბახა და ცოტა არ იყოს, მატყუარაცაა. მხიარულ, თავქარიან, მეოცნებე და ფანტაზიორ პერს სერიოზულად არავინ უყურებს. მხოლოდ დედას ოზესა და კეთილშობილი სოლვეიგს, პერის საცოლეს უყვართ ის ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. უკეთესი ცხოვრების იმედით აღვსილი პერი, ტოვებს მშობლიურ მხარეს და სამოგზაუროდ მიდის. გამომშვიდობებისას, უეცრად, გარდაიცვლება მისი დედა, სოფელში რჩება სოლვეიგი, რომელსაც უყვარს პერი და მზადაა მთელი ცხოვრება ელოდოს მას. 40 წელი სხვადასხვა ქვეყანაში – ამერიკაში, აფრიკასა თუ ჩინეთში პერს არაერთი თავგადასავალი გადახდება; ხვდება მთის მეფის ჯადოსნურ გამოქვაბულშიც, რომლის ბინადარი ტროლები (დემონური არსებები – გოლიათები, ძლიერი, მაგრამ უტვინო და მავნე არსებები), ჯუჯები, ალქაჯები, გობლინები ბინადრობენ. გამოქვაბულის მეფე პერს თავის ქალიშვილზე დაქორწინებას შესთავაზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოკლავენ. თუმცა ბოროტი სამეფო ჩამოიშლება და პერიც ასე გადაირჩენს თავს. ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, პერი აფრიკის უდაბნოშიც მოხვდება, სადაც არაბი ბედუინების ბელადს გადაეყრება. მისი შვილი ანიტრა პერს წინასწარმეტყველად მიიჩნევს და თავისი ცეკვითა და სიმღერით ცდილობს, მოხიბლოს.

წლების მანძილზე, პერმა დიდი სიმდიდრეც დააგროვა, მაგრამ ბოლოს, ყველაფერი გაფლანგა. მშობლიურ სოფელში გაჭაღარავებული, მოხუცი და ღარიბი ბრუნდება, სადაც ტყის პირას, განმარტოებულ ქოხში სოლვეიგი ხვდება, იგი ყველაფერს პატიობს პერს. სოლვეიგს ვერც დრომ და ვერც მარტოობამ დაუკარგა პერთან შეხვედრისა რწმენა და იმედი...

გრიგმა იბსენის ამ პიესის თეატრალური სპექტაკლისთვის მეტად მრავალფეროვანი და კონტრასტული ხასიათის მუსიკა დაწერა, რომლის საფუძველზე შემდგომში ორი საორკესტრო სიუიტა შეიქმნა.



მოუსმინე ედვარდ გრიგის №1 საორკესტრო სიუიტიდან სამ ფრაგმენტს: „დილა“, „ოზეს სიკვდილი“, „ანიტრას ცეკვა“ და დააკვირდი ფოტოებს.



უპასუხე კითხვებს:

1. რომელი ფოტო რომელ მუსიკალურ ნომერს მიესადაგება?
2. რას ასახავს და რა მიზნით არის ჩართული სპექტაკლში ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი?
 - ა) ახასიათებს პერსონაჟს;
 - ბ) გამოხატავს გმირის გრძნობებს ან ხასიათს;
 - გ) დაკავშირებული ბუნების სურათთან;
 - დ) ასახავს დრამის ერთ-ერთი მონაკვეთის სიუჟეტს.



მოუსმინე ედვარდ გრიგის №1 და №2 საორკესტრო სიუიტებიდან პიესებს: „მთის მეფის გამოქვაბულში“, „სოლვეიგის სიმღერა“ და დაადგინე, რომელი ფოტო რომელ მუსიკალურ ნომერს მიესადაგება.



უპასუხე კითხვებს:

1. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გადმოგვცემს სცენის შესაბამის განწყობას?
2. რა ფუნქცია ენიჭება წარმოდგენილ მუსიკალურ ნომრებს?
 - ა) პიესა სიუჟეტური მუსიკის ნიმუშია ანუ შინაარსთან არის დაკავშირებული;
 - ბ) პირობითი მუსიკის ნიმუშია, დაკავშირებულია ემოციებთან და გრძნობებთან.
3. ახლა კი განსაზღვრე, პირობითი მუსიკის რომელი ნაირსახეობა შეგვხვდა?
 - ა) ილუსტრაციული;
 - ბ) კონტრასტული.
4. რის შესახებ მოგვითხრობს პიესა „მთის მეფის გამოქვაბულში“? როგორ ვითარდება მუსიკა? ანუ როგორ იცვლება დინამიკა და ტემპი?
5. როგორ არის დახასიათებული მუსიკის საშუალებით სოლვეიგი?



დავალბა:

ამოირჩიე რომელიმე მუსიკალური ფრაგმენტი და მის ფონზე წაიკითხე პერ გიუნტის ისტორია.


კლასელებთან ერთად, მოიფიქრე რაიმე საინტერესო ამბავი, გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მცირე სპექტაკლი. გააფორმეთ მუსიკალურად, გამოიყენეთ მუსიკალური გაფორმების სხვადასხვა სახე, ილუსტრირებული და კონტრასტული.

გაეცანი ტერმინებისა და ცნებების მნიშვნელობებს:

1. სიუჟეტური მუსიკა – მუსიკა, რომელიც პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს, ასევე ასახავს პიესის ავტორის მიერ რემარკებში არსებულ მითითებებს. ასე მაგ., გოგონა მიუჯდა ფორტეპიანოს და დაკვრა დაიწყო, მეგობრები მღერიან გიტარის თანხლებით, ამ დროს, ფანჯრიდან საქორწინო მარშის ხმები გაისმა და ა. შ.

2. პირობითი მუსიკა – მუსიკა, რომელიც სპექტაკლის სიუჟეტთან არაა დაკავშირებული და ძირითადად, ამა თუ იმ კონკრეტული რეჟისორის ჩანაფიქრს ეხმიანება. ასეთი მუსიკა შეიძლება გადმოსცემდეს გმირების შინაგან სამყაროს, მათ ემოციურ განწყობას, მთელი სპექტაკლის ან ცალკეული სცენის მთავარ იდეას. პირობითი მუსიკის ორ ნაირსახეობას ვარჩევთ:

ა) ილუსტრაციული – აღწერს სცენაზე განვითარებულ მოქმედებას. **ბ) კონტრასტული** – როცა მუსიკა სცენაზე განვითარებული მოქმედების საპირისპირო, განსხვავებულ განწყობას ქმნის. ასე მაგ; სცენაზე თამაშდება ტრაგედია, მუსიკალური გაფორმება სრულიად საპირისპიროა – მხიარული.



✔ **სიუჟეტა** ფრანგული სიტყვაა და რიგს, თანმიმდევრობას ნიშნავს. მუსიკაში ეს ციკლური ფორმა, რომელიც რამდენიმე ნაწილს ან პიესას არეთიანებს. ე. გრიგმა სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკით შეადგინა ორი საორკესტრო სიუჟეტა.



მოუსმინე რაგმენტებს შემდეგი ნაწარმოებიდან: „დილა“ და „მთის მეფის გამოქვაბულში“ სიუიტა „პერ გიუნტიდან“ და თვალი მიადევნე სანოტო ჩანაწერს:

დილა

Morning Mood
Morgenstimmung

EDVARD GRIEG, Op. 46, No 1
Arranged by HARVEY B. GAUL

Allegretto pastorale

Manuals

Pedal

Ch. Organ

Sw. e dolce

Sw.

P

Ch. Orchestral Oboe

Sw. String-tone

add Sw. F

პერ გიუნტი. სიუიტა №1

მთის მეფის გამოქვაბულში

"Peer Gynt" Suite No. 1, Op. 46

In der Halle des Bergkönigs.
(In the Hall of the Mountain-king)

Alla marcia e molto marcato. (♩ = 124)

pp

sempre staccato e pp

იმდერე ხუთსაფეხურიანი ჩინური კილო – პენტატონიკა და დაადგინე, მოსმენილ ნაწარმოებებში სად ისმის ბგერათა მსგავსი წყობა.

ჭინჭრაქა



რუსთაველის თეატრი

ძალზე მრავალფეროვანია ქართული თეატრი და მუსიკა, რომელიც ქართული სპექტაკლებისათვის შეიქმნა. უყურე რამდენიმე ფრაგმენტს რეჟისორ მ. თუმანიშვილის სპექტაკლიდან „ჭინჭრაქა“, რომელიც ქართული ზღაპრის მიხედვით დაიდგა, დაახლოებით 50 წლის წინ, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის დრამატულ თეატრში.



უყურე ვიდეო ფრაგმენტებს და აღწერე მათი მუსიკალური გაფორმება.



უპასუხე კითხვებს:

1. რა მიზნით არის ჩართული ესა თუ ის მუსიკალური ნომერი სცენებში?
2. რომელი მუსიკალური ნომერი გამოხატავს პერსონაჟთა გრძნობებს?
3. რომელი მუსიკალური ნომერი გვიხატავს კონკრეტულ პერსონაჟს?
4. რომელი მუსიკალური ნომერი აღმოგვცემს სპექტაკლის სიუჟეტს?




ჭინჭრაქა და მეფის ასული



ბაყ-ბაყ დევი და კოტიკო



ტყის კვარტეტი – რეპეტიცია



მიხეილ თუმანიშვილი

დაადგინე, რომელ სცენაშია გამოყენებული:

1. სიუჟეტური მუსიკალური გაფორმება;
2. პირობითი მუსიკალური გაფორმება.

სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან

გაიხსენე, რას ნიშნავს დრამატულ თეატრალურ სპექტაკლში სიუჟეტური და პირობითი მუსიკა და პირობითი მუსიკის ორ ნაირსახეობა: ილუსტრაციული და კონტრასტული.



აზდაკის
მონოლოგი



ბაკულას ღორები



დარაბებს მიღმა გაზაფხულია

 უყურე ოთხ განსხვავებულ ვიდეო ფრაგმენტს ოთხი სხვადასხვა სპექტაკლიდან: „კავკასიური ცარცის წრე“, „ჯინსების თაობა“, „ბაკულას ღორები“, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“.

დააკვირდი, გაიაზრე და ამოიცანი, მუსიკალური გაფორმების რომელი ხერხია გამოყენებული ამა თუ იმ სცენაში:

1. სიუჟეტური მუსიკა
2. პირობითი მუსიკა: ა) ილუსტრაციული, ბ) კონტრასტული.

დააჯგუფე ფრაგმენტები ამ განსაზღვრებების მიხედვით.
აღნიშნე, რა მიზანს ემსახურება ესა თუ ის გაფორმება;

1. მუსიკა გადმოსცემს სპექტაკლის მთავარ იდეას;
2. მუსიკა გადმოსცემს სცენის სათანადო განწყობას.



სცენები სპექტაკლიდან „ჯინსების თაობა“

პანტომიმა

პანტომიმა ბერძნული სიტყვაა და რაიმეს მიბადვით განსახიერებას ნიშნავს. ესაა უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ. პანტომიმას საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთსა და რომში. იგი გავრცელებული იყო ინდოეთში, ინდონეზიასა და აზიის სხვა ქვეყნებში. შუა საუკუნეებში მას მიმართავდნენ ჰისტრიონები*, ჟონგლიორები* და სხვ. პანტომიმა თანდათანობით გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში.

ჰისტრიონი ლათინური სიტყვაა. ჰისტრიონს უწოდებდნენ მსახიობს ძველ რომში, აგრეთვე, შუა საუკუნეებში მოხეტიალე მსახიობებსაც. ჰისტრიონები იყვნენ ერთდროულად მთხრობელები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, მომღერლები, ცხოველთა მომთვინიერებლები და სხვა. ზოგჯერ ქმნიდნენ მოყვარულ მსახიობთა წრეებს. ჰისტრიონებს საფრანგეთში ერქვათ ჟონგლიორები, გერმანიაში შპილმანები, პოლონეთში ფრანტები.

თანამედროვე პანტომიმა ორი სახისაა: მიმის (ერთი მსახიობის) ხელოვნება და პანტომიმის წარმოდგენა, თეატრალური სპექტაკლი (უსიტყვოდ).

მიმები

დააკვირდი ჯერი ლუისის პანტომიმას, შექმნილს ლეროი ანდერსონის მუსიკალური ნაწარმოების „საბეჭდი მანქანის“ მიხედვით. დაადგინე, რა ფუნქცია ენიჭება მუსიკალურ თანხლებას: კონტრასტული, ილუსტრაციული თუ ასოციაციური.

რა ჟესტებით არის გადმოცემული მანქანაზე ბეჭდვა?

შემდეგ, ჩაწერე მუსიკალური თანხლება სხვადასხვა ნიშნით – პიქტოგრამებით.

 იმდერე მოცემული მოტივები და განასახიერე ბგერების მოძრაობა ჟესტიკულაციით.



ასოციაცია თუ კონტრასტი?

იხილე მარსელ მარსოს პანტომიმა „პეპლებზე ნადირობის ხმა“;



უპასუხე კითხვებს:

1. დაადგინე, რომელ პერსონაჟს განასახიერებს მუსიკა; ჩანს თუ არა ეს პერსონაჟი კადრში. ასეთ მუსიკალურ თანხლებას შეიძლება, ვუნოდოთ ილუსტრაციული, კონტრასტული თუ ასოციაციური?
2. რა მომენტში უერთდება მიმის შესტიკულაცია მუსიკას?

იხილე მარსელ მარსოს პანტომიმა დებიუსის „მთვარის შუქის“ მუსიკალური თანხლებით.

იმსჯელე, ამ შემთხვევაში მუსიკას აქვს ილუსტრაციული, ასოციაციური თუ კონტრასტული დატვირთვა.



მარსელ მარსო – პანტომიმა

იმღერე გორდეზიანის სიმღერა „რა დილა თენდება“. დადგი ორი სკეტჩი, სადაც მუსიკა შეასრულებს ჯერ ასოციაციური, შემდეგ კი კონტრასტული ფონის როლს.

სკეტჩი



მოუსმინე რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს შემდეგი ნაწარმოებებიდან: დებიუსის „მთვარის შუქი“, შუბერტის „სერენადა“, ვერდის ტრიუმფალური მარში ოპერა „აიდადან“, რაველის „მზის ამოსვლის სცენა“ ბალეტი „დაფნისი და ქლოადან“.

მოიფიქრე, რა მხატვრული შინაარსი შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ნაწარმოებს და შეიძლება თუ არა, შეესაბამებოდეს შემდეგ განსაზღვრებას:

დებიუსის „მთვარის შუქი“ – ელეგიური, მშვიდი განწყობის, ლამაზი მთვარიანი ღამის ამსახველია;

შუბერტის „სერენადა“ – ლირიკული, სასიყვარულო შინაარსის ნაწარმოებია.



სერენადა – სატრფოსადმი მიძღვნილი სიმღერა, რომელსაც გამთენიისას, მოტრფიალე მამაკაცი თავის რჩეულს ფანჯარასთან უმღერის. ტრადიციულად, სერენადებს, ესპანეთსა და იტალიაში, გიტარის თანხლებით ასრულებდნენ.

ვერდის ტრიუმფალური მარში ოპერა „აიდადან“ – ბრძოლიდან გამარჯვებით დაბრუნებული მეომრების მსვლელობაა.

რაველის „მზის ამოსვლის სცენა“ – შთამბეჭდავად ასახავს მზის დიდებულ ამოსვლას.

კლასელებთან ერთად დადგი სკეტჩი ზემოთხსენებული ნაწარმოებების თანხლებით. განასახიერე მუსიკალურ ნაწარმოებებში გადმოცემული მხატვრული სახე. შემდეგ გაითამაშე კონკრეტული სცენა მუსიკის თანხლებით.



მოუსმინე ფრაგმენტებს პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრიდან „პეტრე და მგელი“, ამოიცანი პერსონაჟები და გაითამაშე სკეტჩი, განასახიერე თითოეული პერსონაჟი.

შემდეგ, მოუსმინე ფრაგმენტებს სენ-სანსის ინსტრუმენტული ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“ და ამჯერად მიმიკითა და ჟესტიკულაციით განასახიერე მუსიკით გადმოცემული ასახული სახეები: „ლომის სამეფო მარში“, „კენგურუ“, „გრძელყურა ვირები“, „ჩიტები“, „სპილო“, „დედლები და მამლები“, „გუგული ულ-რან ტყეში“.



სკეტჩი – სახუმარო შინაარსის სასცენო დადგმა.

პიქტოგრამა – **პიქტოგრაფიული დამწერლობა** – „ხატოვანი დამწერლობა“, „პიქტოგრაფია“ რაიმე ცნობის, შინაარსის გადმოცემა ნახატის ან თანმიმდევრული ნახატების საშუალებით. არის დამწერლობის უძველესი სახეობა.


დირიჟორი და საკრავები

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

● იმღერე სი ბემოლ მაჟორი, გამოსახე რიტმი და მეტრი.



ნახე პანტომიმა „დირიჟორი“ მოარგე მუსიკალური თანხლების ეპიზოდებს ქვე-
მოთ მოცემული ნახატები.



ხალხური საკრავები



მოუსმინე და გაიხსენე ქართული ხალხური საკრავები: სალამური, დოლი, გუდასტვირი, ჭუნური, ჩონგური, ფანდური და ჩანგი. დაადგინე, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თითოეული ინსტრუმენტი – სიმებიანს, ჩასაბერსა თუ დასარტყამს; ჩანერე წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე საკრავთა შესატყვისი ჯგუფი.

კვლავ მოუსმინე საკრავებს; დააკვირდი ნახატებს მათი გამოსახულებით; წაიკითხე ტექსტი და დაადგინე, რომელი საკრავის ჟღერადობა გესმის.



სალამური



დოლი



გუდასტვირი



ჭიანური



ჩონგური



ფანდური



ჩანგი

ქართული
გარმონი

1. მწყემსი ლალად უკრავს სალამურზე საცეკვაოს;
2. დოლის ხმები ისმის;
3. რაჭაში საახალწლო დალოცვას გუდასტვირის თანხლებით მღერიან. ლეგენდის თანახმად, გუდასტვირის ჟღერადობას შეუძლია, ბოროტი სულები განდევნოს.
4. დახშული, სევდიანი ხმით ისმის ჭუნირზე შესრულებული სიმღერის მელოდია.
5. მეჩონგურემ ხელი ჩამოკრა სიმებს და ააჟღერა. თვალწინ ჩემი სამეგრელო წარმომიდგა.
6. თუში ბავშვები ახალი წლის მოლოდინში, ფანდურზე დაკვრით თავს ირთობდნენ.
7. სვანური ლეგენდის თანახმად, ნადირობის ქალღმერთმა დალიმ ურჩი მონადირე დასაჯა, რადგან მან დალის საყვარელი თეთრი ირმის მოკვლა დააპირა. დალიმ მონადირის ხელი, რომლითაც იგი ირმის მოკვლას აპირებდა, მუსიკალურ საკრავ ჩანგად გადაუქცია. ამის შემდეგ, მონადირე სოფელ-სოფელ დადიოდა, ჩანგზე უკრავდა და სევდიან სიმღერას მღეროდა.
8. ქართული გარმონი კლავიშოანი ჩასაბერი საკრავია, შედგება კორპუსის საბერველისა და კლავიშოანი მექანიზმისაგან. გარმონზე მეტყველი ინტონაციების გამოსახვაა შესაძლებელი, ვინაიდან საკრავი მრავალფეროვანი ნუანსების გაკეთების საშუალებას იძლევა. როდესაც გარმონს ვუსმენთ, თვალწინ ხან მოხუცი თუშის საუბარი, ხან კი ახალგაზრდების ცეცხლოვანი ცეკვა წარმოგვიდგება. საკრავი ყველაზე მეტად თუშეთშია გავრცელებული.

ქართული ხალხური საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი

წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე წაიკითხე საკრავთა ჯგუფების სახელწოდებები, მოუსმინე მათ ჟღერადობას და გადაწერე ანბანის შესატყვისი ასო:

- | | |
|------------------|----------------------|
| 1. ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი |
| 2. ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი |
| 3. ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი |
| 4. ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი |
| 1. გ) დასარტყამი | დ) კლავიშის ჩასაბერი |
| 2. გ) დასარტყამი | დ) კლავიშის ჩასაბერი |
| 3. გ) დასარტყამი | დ) კლავიშის ჩასაბერი |
| 4. გ) დასარტყამი | დ) კლავიშის ჩასაბერი |

წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე დააკვირდი საკრავთა ფოტოებს, მოუსმინე და იგივე თანმიმდევრობით დანომრე მოცემული სურათები.



ჩონგური



სალამური



ქართული გარმონი



გუდასტვირი



მოუსმინე და ამოიცანი, რომელი საკრავი ჟღერს სიმღერის თანხლებად. მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ერთად, იმღერე გურული სიმღერა „დილა“.

სხვადასხვა ქვეყნის საკრავები



მოუსმინე საკრავების ჟღერადობას, ნაიკითხე ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და დაადგინე, რა საკრავია.

რანადი

დღესაც მახსენდება ტაილანდი, საოცრად ლამაზი ბუნებით, ხასხასა ფერებით, ქუჩაში გამართული დღესასწაულებით, სადაც უძველესი ლეგენდების გმირები ცოცხლდებიან. ყველა სახლის წინ პატარა ნაგებობა დგას. ადგილობრივებს სწამთ, რომ ამ მორთულ შენობაში კეთილი სულები ოჯახის დასაცავად დაისადგურებენ. ტაილანდში არავინ დაადგამს ფეხს სახლის ზღურბლს, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ამ ადგილას, გარდაცვლილ წინაპართა სულები ცხოვრობენ. მახსენდება აბრეშუმის ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი ულამაზესი მოცეკვავეები და ნავის ფორმის ქსილოფონები, რომელთა ხმა ქუჩებში იფრქვევა და კიდევ უფრო მეტ ზღაპრულობას სძენს იქაურობას.

გუდასტვირი

როდესაც შოტლანდიური გუდასტვირის ხმა გესმის, თვალწინ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი შოტლანდიელი წარმოგიდგება.

დიჯერიდუ

ლეგენდა მოგვითხრობს: „იმ დღეს, როდესაც სამყარო შეიქმნა, ღმერთებმა ადამიანს დიჯერიდუ გადასცეს და დედამიწა დატოვეს. გადმოცემის თანახმად, ეს ინსტრუმენტი ჟღერადობით ორ სამყაროს – სულიერსა და მიწიერს ერთმანეთთან აკავშირებს. დიჯერიდუს ჟღერადობის მოსმენისას ისეთ დიად მოვლენებზე ფიქრობ, როგორიც სამყაროს შექმნაა. ზოგჯერ თვალწინ წარმოგიდგება ავსტრალიის ბუნება, ცხოველთა გადაძახილი და თვალუნვდენელი სივრცე.

მიუხედავად იმისა, რომ დიჯერიდუს მცირე დიაპაზონი აქვს (ძირითადად ერთ ბგერას აჟღერებს), ძლიერი და მდიდარი ტემბრის გამო, მსოფლიოში ყველაზე დიდ ინსტრუმენტს – ორგანსაც კი ადარებენ.

ბანსური

ბანსურის თბილი, დახვეწილი, ღრმა ჟღერადობა არავის ტოვებს გულგრილს. ითვლება, რომ იგი ფრთებისა და ყვავილებისაგან, ოცნებებისა და ზმანებებისაგან, ჰაერისა და ცეკვისაგან არის შექმნილი. ტაძრების მოხატულობებში მასზე ღვთაებრივი ქმნილებები უკრავენ. მას ინდური ღმერთის, კრიშნას სიმბოლოდ მიიჩნევენ.

სიტარა

სიტარა, ხალხურ ინსტრუმენტთა შორის, მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ეს ინსტრუმენტი ბევრმა როკჯგუფმა გამოიყენა თავის კომპოზიციებში. გაბმული, უწყვეტი ბგერები მას მაგიურ ჟღერადობას სძენს. გადმოცემის თანახმად, სიტარაზე შესრულებულ რაგას შეუძლია ადამიანები დაავადებებისაგან განკურნოს ან გააღვიძოს მათში სხვადასხვა ნიჭი და შესაძლებლობა. ბევრ რელიგიურ რიტუალში ამ საკრავს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სიტარას უბადლო შემსრულებელი რავი შანკარი მეგობრობდა ლეგენდარული ანს-



რანადი



შოტლანდიური
გუდასტვირი



დიჯერიდუ



ბანსური



გონგი



სიტარა



დულციმერი

ამბლ „ბითლები“ ნევრებთან. დღევანდელ დღეს, კი მისი შვილის, ანუშკა შანკარს, სიტარაზე დაკვრით განცვიფრებაში მოჰყავს მსმენელი.

დულციმერი

დულციმერს წვრილი, რბილი, მეტალის ჟღერადობა აქვს, ზოგი კი თვლის, რომ მისი ბგერა ჟღერიალა, ოდნავ მჭახეც კია. როდესაც დულციმერს უსმენ, თვალწინ გახუნებული ბალახით დაფარული, უკიდევანო ველები, მარტოხელა ქოხი და ქოხის წინ, ჩამომჯდარი გახუნებულ ჯინსებში მოხუცი კოვბოი გვიდგას.

გონგი

გონგის ჟღერადობა, ბგერის გამოცემის შემდეგ, დიდხანს გრძელდება. ხმის ტალღები ხან მატულობს, ხან კი კლებულობს; თავიდან თითქოს ოკეანის ხმაური ისმის, შემდეგ ტალღების ხმას დოლების ქუხილი ემატება. თანდათან, ყველაფერი წყნარდება, ხმა ნიჟარის გუგუნის მსგავს ხმოვანებაში გადაიზრდება, გონგის ხმა ნელ-ნელა ფუტკრის ბზუილს ემსგავსება და სივრცეში ქრება.



მოუსმინე ინდურ კლასიკურ მუსიკა „რაგას“, რავი და ანოუშკა შანკარების შესრულებით. ასევე მოუსმინე სიტარაზე დაკრულ ნანარმოებს ჯორჯ ჰარისონის შესრულებით.

ოსტატი რამდენ საკრავსაც დაამზადებს ხისგან, იმდენ ხეს რგავს.
გაუფრთხილდი ბუნებას!

სხვადასხვა ქვეყნის საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი



მოუსმინე სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ საკრავებს; დაადგინე, საკრავთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თითოეული მათგანი და წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე შემოხაზე შესაბამისი ჯგუფი.

- | | | |
|-----------------|-------------|---------------|
| 1) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 2) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 3) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 4) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 5) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 6) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 7) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |

დააკვირდი საკრავთა ფოტოებს, მოუსმინე მათ ჟღერადობას და წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე იგივე თანმიმდევრობით დანომრე.



მოუსმინე დულციმერზე შესრულებულ სიმღერას „ცისარტყელა“ ფილმიდან – „ჯადოქარი ოზიდან“ და იმღერე. ამოიცანი ინტერვალები.

ცისარტყელას მიღმა OVER THE RAINBOW



25
 troubles melt like lemon drops, a - way a - bove the chim - ney tops that's where you'll find me.

17
 and the dreams that you dare to dream real - ly do come true. Some

21
 day I'll wish up on a star and wake up where the clouds are far be - hind me, where

25
 troubles melt like lemon drops, a - way a - bove the chim - ney tops that's where you'll find me.

29
 Some - where o - ver the rain - bow blue - birds fly,

33
 birds fly o - ver the rain - bow, why then, oh why can't

37
 I?

42
 hap - py lit - tle blue - birds fly be - yond the rain - bow, why oh why can't I?



ალპური საყვირი და ბანჯო

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.



მოუსმინე და დაადგინე საკრავთა ჯგუფები: ჩასაბერია, დასარტყამი თუ სიმებიანი. ჩანერე რვეულში შესატყვისი ჯგუფი.

შემდეგ ნაიკითხე ქვემოთმოყვანილი ტექსტი, კვლავ მოუსმინე საკრავებს და დაადგინე, რომელი საკრავის ხმა გესმის.



ალპების საყვირი

ალპური საყვირი

ამ ინსტრუმენტის ხმის გაგონებისას, თვალწინ წარმოგიდგება ავსტრიის ულამაზესი მთები, ყვავილებით მორთული მსვლელობა, რომელიც სოფლის გზიდან იწყება და მთებში მთავრდება. ავსტრიელი მწყემსები ამ საყვირით ერთმანეთს აცნობებდნენ კეთილ თუ ავისმომასწავებელ ამბებს. ზოგჯერ საყვირის უმშვენიერესი გუგუნით ატკბობდნენ გარემოს. ამ საყვირის დიადი და კეთილშობილი ხმოვანება, რბილი ხავერდოვანი ტემბრი, ხან სასულე ორკესტრის, ხან კი ორგანოს ჟღერადობას მოგვაგონებს.



ბანჯო

ბანჯო.

ბანჯო აფროამერიკული ინსტრუმენტია. როდესაც უსმენ ბანჯოს, გახსენდება ამერიკული სათავგადასავლო ფილმები შერიფების, კოვბოების, ინდიელების, ფერმერებისა და ლამაზმანების შესახებ. ბანჯო სიმებიანი საკრავია, სიმებზე თითების გამოკვრით უკრავენ. მისი ჟღარუნა ჟღერადობა მხიარულ და ოპტიმისტურ განწყობას ქმნის. ბანჯოს, ვიოლინოსა და გიტარის ტრიოთი შესრულებული ნაწარმოებები ამერიკულ ხალხურ მუსიკას მოგვაგონებს.

ინდური და ჩინური საკრავები

ჩინური საკრავები



მოუსმინე ჩინურ ინსტრუმენტს გუჯენგს და პარალელურად დააკვირდი სამ სხვადასხვა ხედს, რომელზეც გამოსახულია ჩინური პაგოდები, ლურჯი მეჩეთი ისპაჰანში და წმ. სტეფანეს ტაძარი ვენაში;

შენთვის, რომელ სურათთან ასოცირდება მუსიკა?



ჩინურ პაგოდა



ლურჯი მეჩეთი ისპაჰანში



წმ. სტეფანეს ტაძარს ვენაში

იაპონურ საკრავები



მოუსმინე შემდეგ იაპონურ საკრავებს: ტაიკოს, რუტეკს, ჰიტორიკს-ფლეიტას, ტუჩის- გარმონ სე-ს.

დააკვირდი ნახატებს, ნაიკითხე ტექსტი და ამის მიხედვით ამოიცანი, რომელი საკრავი ჟღერს.

1) ტაიკოს ჟღერადობა იაპონელი სამურაების გმირულ სულისკვეთებას, სიმტკიცესა და ერთობას მოგაგონებს.

2) ტუჩის გარმონს სე-ს ტემბრს ღრმა ფიქრებში მიჰყავს მსმენელი. ხანდახან მისი ხმოვანება კათოლიკურ ტაძარში აჟღერებული ორგანის მაღალი რეგისტრის ბგერებს წააგავს.



მოუსმინე ჩასაბერ საკრავებს ჰიტორიკსა და რუტეკს. იმსჯელე, რომელი საკრავი უფრო მჟღერია და რომლის ტემბრია გამჭირვალე, მკრთალი. ამ ორი საკრავიდან შეარჩიე ერთ-ერთი „ბუნების პეიზაჟის“ კომპოზიციის შესაქმნელად.



ტაიკო



სე

ინდური საკრავები.

უყურე მოკლემეტრაჟიან ფილმს ინდური საკრავების შესახებ:

ფუნგი — ამ ინსტრუმენტის ჟღერადობით ზემოქმედებენ ქვეწარმავალზე, მას ჰიპნოზს უკეთებენ.

ჩენდა — ცილინდრული ხის დოლებია, რომელთა ერთობლივი ჟღერადობა საბრძოლო განწყობას ქმნის.

ექტარა – სიმებიანი საკრავია.

გაიხსენე მსგავსი, მაგრამ შედარებით დიდი ზომის ქართული ხალხური საკრავი.

დანგჩენი – გრძელი საყვირი ან ბუკი, გამოიყენება ბუდისტური* ცერემონიალების დროს. მისი ჟღერადობა სპილოს სიმღერას გავს. უკრავენ წყვილ ან მეტ დანგჩენზე ერთდროულად.



ტაჯ-მაჰალი. აგრა, ინდოეთი

შემაჯამებელი გაკვეთილი



მოუსმინე სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ საკრავებს და წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე თანამიმდევრულად შემოხაზე თითოეულის შესაბამისი ჯგუფი.

- | | | |
|-----------------|-------------|---------------|
| 1) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 2) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 3) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 4) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |
| 5) ა) სიმებიანი | ბ) ჩასაბერი | გ) დასარტყამი |

დააკვირდი ფოტოებს, მოუსმინე საკრავთა ჟღერადობას და იგივე თანმიმდევრობით ჩამოთვალე მოცემულ სურათზე გამოსახული საკრავები.



ალპების საყვირი



ბანჯო



გუჟენ



რუტეკი



ტაიკო



ექტარა

მარაკასი, გიტარა და კასტანეტები



გაეცანი მოცემულ საკრავებს, იმსჯელე, რა ჟანრის მუსიკას შექმნიდი ამ საკრავებით.



მარაკასი

მარაკასი – უძველესი დასარტყამი საჩხაკუნო საკრავია, წარმოიშვა ინდიელთა შორის. ამჟამად, მარაკასი ლათინო-ამერიკული მუსიკის სიმბოლოა. ჩვეულებრივ, უკრავენ წყვილ მარაკასზე.

ოკარინა – უძველესი საკრავია, რომელსაც დღევანდელ დღეს ფაიფურისაგან ამზადებენ,



ოკარინა

კასტანეტები – დასარტყამი მუსიკალური საკრავია, განსაკუთრებით გავრცელებულია ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში. მისი მსგავსი ინსტრუმენტები, სიმლერისა და ცეკვის თანხლებისათვის, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში არსებობდა.

ოკულელე – მზირე ზომის გიტარა. მისი სამშობლოა მადეირა. (პორტუგალია) აქედან იგი გავრცელდა წყნარი ოკეანის კუნძულებზე. განსაკუთრებით ჰავაიზე.



კასტანეტი

გიტარა – სიმებიანი გამოსაკრავი ინსტრუმენტი. გიტარის წინამორბედი ძველ საბერძნეთსა და რომში იყო **კითარა**. შემდეგ ეს საკრავი გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ესპანეთში, სადაც შეიქმნა ე.წ. **ესპანური გიტარა**.

გიტარას გამოიყენებენ ყველა სტილისა და მიმართულების მუსიკაში, მათ შორისაა სიმღერა, რომანსი, ფლამენკო, ბლუზი, ჯაზი, ქანთრი, მეტალი.

XIX საუკუნეში, საქართველოში გავრცელდა ქალაქური ტიპის სიმღერები, რომლებიც გიტარის თანხლებით სრულდებოდა.



ოკულელე, მცირე ზომის გიტარა



გიტარა

მოიძიე ინფორმაცია საკრავების შესახებ, მოაწყვე პრეზენტაცია, იმსჯელე მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე. დააჯგუფე საკრავები: სიმებიანი, სიმებიან-ხემიანი, დასარტყამი და ჩასაბერი.

სალამური	დულციმერი
ჩონგური	სიტარა
ფანდური	დიჯერიდუ
ჭიანური	შოტლანდიური გუდასტვირი
გუდასტვირი	გონგი
ჩანგი	ალპების საყვირი
პილილი	ბანჯო
დუდუკი	ტაიკო
დაირა	გიტარა
დიპლიპიტო	კასტანეტები
დოლი	მარაკასი

ოსტატი რამდენ საკრავსაც ამზადებს ხისგან იმდენ ხეს რგავს.

გაუფრთხილდი ბუნებას!



იმღერე კლასელებთან ერთად გიტარის თანხლებით.

სულიკო

მუსიკა ვ. წერეთლის

song V. Tsereteli

ლექსი ა. წერეთლის

poetry A. Ts'ereteli

comodo
p

საყ-ვარ-ლის საყ-ღავს ვე-ძებ-დი, ვერ ვნა-ხე!... და-კარ-გუ-ლი-ყო!...
l.saq'-var - lis sap - lavs ve-dzeb - di, ver vna-khe!... da - kar - gu - li - q'o!...

გულ-ა-მოს-კვნი-ლი ვჩი-ო-დი: „სა-და ხარ ჩე-მო სუ-ლი-კო!“
gul - a - mos - kvni - li vchi - o - di: „sa - da khar che - mo su - li - ko!“

გულ-ა-მოს-კვნი-ლი ვჩი-ო-დი: „სა-და ხარ, ჩე-მო სუ-ლი-კო!“
gul - a - mos - kvni - li vchi - o - di: „sa - da xar, che - mo su - li - ko!“

2. ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო,
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“

3. სულგანაბული ბუღბუღი
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“

4. შეიფრთხილა მგოსანმა,
ევაგილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკენეს-ჩაიჭიკტია,
თითქოს სთქვა: „ღიახ, ღიახო!“

5. ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

სიმღერების ტექსტი

მამლი მუხასა

(მესხური)

მუხა წონწილებს წონწილებს მამლი მუხასაო,
წონწილებს და ნაიქცევა მამლი მუხასაო,
ალალ მე და მამლი მუხასაო,
ალალ მე და მამლი მუხასაო
მუხის ნადგომსა შენ ბიჭო მამლი მუხასაო
წყალი დგებოდა შენ ბიჭო მამლი მუხასაო
ალალ მე და მამლი მუხასაო,
ალალ მე და მამლი მუხასაო
შიგ რომ თევზი მოდიოდა მამლი მუხასაო,
იმასაც დაჭერა უნდა, მამლი მუხასაო
ალალ მე და მამლი მუხასაო,
ალალ მე და მამლი მუხასაო,
რითა და რითა შენ ბიჭო, მამლი მუხასაო,
მოსეს ბადითა შენ ბიჭო, მამლი მუხასაო,
ალალ მე და მამლი მუხასაო,
ალალ მე და მამლი მუხასაო

ბულბულს სტვენა

(იმერული)

ჰოი და ვადილავ და
ბულბულს სტვენა ვარდს სინაზე რანინევო და ჰე,
ბულბულს სტვენა ვარდს სინაზე მოვსტაცე და შეგთავაზე
დეღი ვოდელი ვოდელა, რანინევო და ჰე,
ჰოი და ვადილავ და
რომ მითხარი მიყვარხარო რანინევო და ჰე,
რომ მითხარი მიყვარხარო არ გცოდნია სიყვარული,
დეღი ვოდელი ვოდელა, რანინავო და ჰე,
ჰოი და ვადილავ და
შენი გული ჩემი გული რანინავო და ჰე,
შენი გული ჩემი გული ჯაჭვით არის გადაბმული,
დეღი ვოდელი ვოდელა, რანინავო და ჰე,
ჰოი და ვადილავ და
ბულბულს სტვენა ვარდს სინაზე რანინევო და ჰე,
ბულბულს სტვენა ვარდს სინაზე მოვსტაცე და შეგთავაზე
დეღი ვოდელი ვოდელა, რანინევო და ჰე.

გაზაფხული

(ქალაქური)

გაზაფხული მოდის მართობს,
სიკეკლუცით ეშხით მათრობს,
გაზაფხული რა ნაზია,
აღმასია ლამაზია,
რა კარგია გაზაფხული

ლხენით სავსე შვეებით სრული
რა ტურფაა გაზაფხული
ვის მოსწყინდეს მისი ქება
გაზაფხულს რა შეედრება
რა კარგია გაზაფხული.

ბუნება რომ აყვავდება,
გულიც გადახალისდება,
ვენაცვლები გაზაფხულსა
ანეტარებს იგი გულსა
რა კარგია გაზაფხული.

რა დილა თენდება

მუსიკა და ტექსტი გიორგი გორდეზიანის

დილა თენდება
სიმღერა მინდება
ფოთოლთა შრიალი, ფრინველთა ხმა
სიხარულს მპირდება.

მისამღერი:
გული მღერის, გული ხარობს,
ბრუნავს დედამინა,
უღრუბლო ცა, კრიალა ზღვა,
რა გინდა სხვა.

ფრინავენ პეპლები,
ათასფერ ფერებად
თუ გაგიფრინდება დღეს ერთი
ხვალ ასი დაბრუნდება.

მისამღერი:
გული მღერის, გული ხარობს,
ბრუნავს დედამინა,
უღრუბლო ცა, კრიალა ზღვა,
რა გინდა სხვა.

კიკოლიკო ზალიკო

(იმერული)

წილწილ წინანული ყიზილბაშის მართებული დელა,
კიკოლიკო ზალიკო კიკოლიკო ზალიკო,
აბა ჩემო სოფიო ჩემთან ახლოს მოდიო,
შენ მაინ ცარ მოგშორდები დელა
გულში რომ მკრა თოფიო,
გულში რომ მკრა თოფიო.

ყიზილბაშთა შემოსევამ, გაგვიტეხა ტკბილი ძილი დელა,
კიკოლიკო ზალიკო, კიკოლიკო ზალიკო
აბა ჩემო სოფიო
ჩემთან ახლოს მოდიო
შენ მაინც არ მოგშორდები დელა,
გულში რომ მკრა თოფიო,
გულში რომ მკრა თოფიო.

ორი წავიდეთ საომრად, ქალამნებ გამოცვეთილი დელა,
კიკოლიკო ზალიკო კიკოლიკო ზალიკო,
აბა ჩემო სოფიო
ჩემთან ახლოს მოდიო,
შენ მაინ ცარ მოგშორდები დელა
გულში რომ მკრა თოფიო,
გულში რომ მკრა თოფიო.

მტერი მიწას განვაშორეთ დავბრუნდით გამარჯვებული დელა,
კიკოლიკო ზალიკო, კიკოლიკო ზალიკო,
აბა ჩემო სოფიო
ჩემთან ახლოს მოდიო,
შენ მაინ ცარ მოგშორდები დელა
გულში რომ მკრა თოფიო,
გულში რომ მკრა თოფიო.

დელი დელი

(იმერული)

დელი დელი
მე შენ გელი,
ჩემო ციციანათელაო
დელივო დელივო დელა
დელა, დელა, ნაინი ნაინინევო და
აბა დელივო დელოვო
დელივო დელივო დელა
დელა დელა ნაინი ნაინი ნევო და

აქედანი და შენამდის
ვარდი მასხია ყველამდის
დელივო დელივო დელა
დელა, დელა, ნაინი ნაინინევო და
აბა დელივო დელოვო
დელივო დელივო დელა
დელა დელა ნაინი ნაინი ნევო და

რომ ვინმე გამომიშვებდეს
ფრენით ამოვალ შენამდე,
დელივო დელივო დელა
დელა, დელა, ნაინი ნაინინევო და
აბა დელივო დელოვო
დელივო დელივო დელა
დელა დელა ნაინი ნაინი ნევო და

Schlafe, mein prinzchen

დაიძინე უფლისწულო

Schlafe, mein prinzchen

Schlafe, mein Prinzchen, es ruhn
Schäfchen und Vögelchen nun,
Garten und Wiese verstummt,
auch nicht ein Bienchen mehr summt.
Luna mit silbernem Schein,
gucket zum Fenster herein.
Schafe beim silbernen Schein,
schlafe, mein Prinzchen, schlaf ein.
Schlaf ein, schlaf ein.
Alles im Schlosse nun liegt
tief in den Schlummer gewiegt,
Küche und Keller sind leer,
es reget kein Mäuschen sich mehr.
Nur in der Zofe Gemach
tönet ein schmelzendes Ach.
Was für ein Ach mag das sein?
Schlafe, mein Prinzchen, schlaf ein.
Wer ist beglückter als du?
Nichts als Vergnügen und Ruh;
Zucker und Spielwerk vollauf
und noch Karossen im Lauf:
Alles benutzt und bereit,
daß nur mein Prinzchen nicht schreit.
Was wird es künftig erst sein?
Schlafe, mein Prinzchen, schlaf ein.

ი ა ვ ა ნ ა

მუსიკა ბ. ფლისის

შვილიკო დაიძინე,
ჩაქრა სინათლე სახლში.
თევზებსაც სძინავთ ტბაში,
ფუტკრებსაც სძინავთ ბაღში.

ცაზე ანათებს მთვარე,
ჩანს სარკმელში ელვარე.
დროა თვალი მილულო,
ჩუ, ჩემო სიხარულო.
დაიძინე ...

Golden Slumbers

ჯ. ლენონი, პ. მაკლარტნი

Once there was a way,
to get back homeward,
Once there was a way,
to get back home
Sleep pretty darling do not cry,
and I will sing a lullaby
Golden slumbers fill your eyes,
smiles awake you when you rise
Sleep pretty darling do not cry,
and I will sing a lullaby.
Yellow Submarine

In the town where I was born
Lived a man who sailed to sea
And he told us of his life
In the land of submarines
So we sailed up to the sun
Till we found a sea of green
And we lived beneath the waves
In our yellow submarine
We all live in a yellow submarine
Yellow submarine, yellow submarine
We all live in a yellow submarine
Yellow submarine, yellow submarine

Kommet, ihr Hirten

მოზრძანდება მწყემსი

Kommet, ihr Hirten, ihr Männer und Frau'n,
kommet, das liebliche Kindlein zu schau'n.
Christus, der Herr, ist heute geboren,
den Gott zum Heiland euch hat erkoren:
Fürchtet euch nicht!
Lasset uns sehen in Bethlehem's Stall,
was uns verheißen der himmlische Schall.
Was wir dort finden, lasset uns künden,
lasset uns preisen in frommen Weisen:
Halleluja!
Wahrlich, die Engel verkündigen heut
Bethlehems Hirtenvolk gar große Freud.
Nun soll es werden Friede auf Erden,
den Menschen allen ein Wohlgefallen:
Ehre sei Gott!

გაზაფხულო ლამაზო...

ტექსტი: ნუნუ კერესელიძის

მუსიკა: თამაზ გაბუნიასი

კეთილ იყოს, კეთილ იყოს,
შენი მოსვლა, გაზაფხულო!
გუშინ თითქოს არცა ჩანდი,
მოსულხარ და აღარ ხუმრობ.

მისამღერი:

რა ლამაზად ეშვები,
იებს აბნევ პეშვებით,
მღერიან ჩიტუნები,
გიყურებ, ვიტრუნები.

კეთილ იყოს, კეთილ იყოს,
შენი მოსვლა, გაზაფხულო!
გუშინ თითქოს არცა ჩანდი,
მოსულხარ და აღარ ხუმრობ.

მისამღერი:

მოფრინავენ პეპლები,
ყვავილების ეტლებით.
გაზაფხულო ლამაზო,
არ გაგიშვებ არასდროს.

ჭონა (იმერული)

სოლისტი (მეჭონე):

ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე, სარგებელი ვერა ვნახე.

გუნდი (მეჭონეები):

ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე, სარგებელი ვერა ვნახე.

სოლისტი (მეჭონე):

ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა.

გუნდი (მეჭონეები):

ამოიღე ორი კვერცხი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

სოლისტი (მასპინძელი):

მე არა მაქვს ორი კვერცხი, დააყარე გზას ბარაქა.

გუნდი (მეჭონეები):

მე არა მაქვს ორი კვერცხი, დააყარე გზას ბარაქა.

სოლისტი (მასპინძელი):

სარგებელსა აქ რას ნახავ, ცარიელი მაქვს კარადა.

გუნდი (მეჭონეები):

სარგებელსა აქ რას ნახავ, ცარიელი მაქვს კარადა.

სოლისტი (მეჭონე):

არიელი, მარიელი, ნუ გამიშვებ ცარიელი.

გუნდი (მეჭონეები):

თუ გამიშვებ ცარიელი, არ დაგრჩები მადლიერი.

სოლისტი (მასპინძელი):

მე არა ვარ მომზადილი, დამჯერდებით ამ ხონჩასო.

გუნდი (მეჭონეები):

მე არა ვარ მომზადილი, დამჯერდებით ამ ხონჩასო.

სოლისტი (მასპინძელი):

გულნაკლული ნუ დამრჩები, თუ გაგატან დღეს ცოტასო.

გუნდი (მეჭონეები):

გულნაკლული ნუ დამრჩები, თუ გაგატან დღეს ცოტასო.

სოლისტი (მეჭონე):

მთაში ბორბლები დავთალე, წამოვიდა გორებითა.

გუნდი (მეჭონეები):

შენი ოჯახი აივსო პურიტა და ქონებითა.

ლექსიკონი

ა

- ადაჯიო** (ან ადაჯო) (იტალ. *adagio*) – მუსიკალური ნაწარმოების ნელი ტემპი.
- აკაპელა** (იტალ. *acappella*) – სიმღერა თანხლების გარეშე.
- აკომპანემენტი** – ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდიის მუსიკალური თანხლება.
- აკორდი** – ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობა.
- ალეგრეტო** (იტალ. *allegretto*) – მუსიკალური ნაწარმოების ცოცხალი ტემპი, მაგრამ შედარებით ნელი, ვიდრე ალეგრო.
- ალეგრო** (იტალ. *allegro*) – მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპი.
- ალტი** – ქალის ან ბავშვის სასიმღერო დაბალი ხმა.
- ანდანტე** (იტალ. *andante*) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, მშვიდი ტემპი.
- აპლოდისმენტი** (ფრანგ. სიტყვა) – მოწონების გამოხატვა ტაშის დაკვრით. ძირითადად, გამოიყენება სხვადასხვა წარმოდგენაზე (თეატრში, კონცერტზე, ცირკში). აპლოდისმენტებს, ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს შეძახილები (ოვაციები) „ბრავო“, „ბრავისიმო“, რაც იტალიურად ნიშნავს „შესანიშნავია“.
- აპოთეოზი** – რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება; სპექტაკლის ან კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა.
- აფიშა** – მიზნად ისახავს, შეატყობინოს მაყურებელს, თუ სად, როდის, რა სანახაობა გაიმართება. არსებობს აფიშა-პროგრამები და ე.წ. მოკლე ფურცლები.
- აჩელერანდო** – (იტალ. *accelerando*) – მუსიკაში ტემპის აჩქარება.

ბ

- ბაგატელი** – (ფრანგ. პატარა, დახვეწილი ნივთი) მცირე ზომის, მსუბუქი მუსიკალური პიესაა ფორტეპიანოსათვის.
- ბალეტი** – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც მოქმედი გმირები ცეკვავენ ორკესტრის თანხლებით და ასე გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს.
- ბანი** – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.
- ბარიტონი** – მამაკაცის საშუალო სასიმღერო ხმა.
- ბეკარი** – ნიშანი, რომელიც აბათილებს დიეზს და ბემოლს.
- ბემოლი** – ნიშანი, რომელიც ადაბლებს ბგერას ნახევარი ტონით ქვემოთ.
- ბის!** – მაყურებელთა მოწონების შეძახილი კონცერტზე, გამოხატავს გარკვეული ნომრის გამეორების თხოვნას.

გ

- გასტროლი** (გერმ. „სტუმრის როლში ყოფნა“) – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრალური დასის, მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის და ა.შ.) გამოსვლა.
- გუნდი** – ვოკალისტთა დიდი ჯგუფი (არანაკლებ 12 შემსრულებლისა).

დ

- დიეზი** – ნიშანი, რომელიც ბგერას ამაღლებს ნახევარი ტონით ზემოთ.
- დიმინუენდო** (იტალ. *diminuendo*) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან შესუსტება.
- დირიჟორი** – ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი.
- დისკანტი** – ბავშვის მაღალი სასიმღერო ხმა.
- დუეტი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

2

ეტიუდი – პიესა, რომლის შესწავლა და შესრულება მიზნად ისახავს შემსრულებლის დაოსტატებას.

3

ვალსი – ძველებური გერმანულ-ავსტრიული წყვილთა ცეკვა, რომელიც თანამედროვეობაშიც პოპულარულია. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4, იშვიათად, 3/8 ან 6/8.

ვირტუოზი – ადამიანი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას.

ვოკალური მუსიკა – ადამიანის ხმით შესრულებული მუსიკა

ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკა, რომელიც ადამიანის ხმითა და მუსიკალური საკრავებით სრულდება.

ი

იმიტირება – მიბაძვა.

ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკალური საკრავებით შესრულებული მუსიკა.

ინტერვალი (ლათ. Intervallum) მანძილს, შუალედს ნიშნავს. მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი განსაზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი შემადგალი საფეხურების რაოდენობას. ინტერვალის შესახებ ვსვამთ ორ კითხვას: მერამდენე საფეხურია ფუძიდან მწვერვალი და რამდენი ტონია მათ შორის.

ინტონაცია – მუსიკალური აზრის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც რამდენიმე ბგერისაგან შედგება და ნაწარმოების შინაარსს განსაზღვრავს.

იოდლი – შვეიცარულ სიმღერებში „იო-აიი-უუ“ ხმოვნებზე სწრაფად მოძრავი მაღალი ხმა.

კ

კანონი – პოლიფონიური მრავალხმიანი მუსიკის სახეობაა, სადაც ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა ხმაში რამდენიმე ტაქტის დაგვიანებით იწყება. კანონი შეიძლება იყოს ორხმიანი, სამხმიანი და მრავალხმიანი.

კანტატა (იტალ. *cantare* სიმღერა) – რამდენიმე ნომრისგან შემდგარი ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის, უფრო მცირე ზომის, ვიდრე ორატორია. შინაარსის მიხედვით, მკაფიოდ განასხვავებენ სასულიერო და საერო კანტატებს.

კარნავალი – სახალხო დღესასწაული ნიღბებით.

კვარტეტი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ოთხი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დანერგილი ნაწარმოები.

კლავიატურა – თეთრი და შავი კლავიშების ერთობლიობა კლავიშიან საკრავებზე (ფორტეპიანო, როიალი, კლავესინი და ა. შ.)

კომპოზიტორი – ადამიანი, რომელიც მუსიკას ქმნის.

კოლაჟი – საკუთარი ან სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების ფრაგმენტისაგან აწყობილი ერთგვარი კომპოზიცია. კოლაჟის აწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ხმითაც.

კონკურსი – სხვადასხვა დარგში გამართული შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა.

კონტრალტო (ან ალტი) – ქალის დაბალი სასიმღერო ხმა.

კონტრაპუნქტი (ნიშნავს ნოტი ნოტის წინ, წერტილი წერტილის წინ) – რამდენიმე დამოუკიდებელი მუსიკალური აზრის შერწყმა, პოლიფონიური მუსიკის შექმნის ერთ-ერთი ხერხი.

კონტრდანსი – ინგლისური ხალხური ცეკვა. ამ ცეკვიდან წარმოიშვა სხვა ინგლისური და, ნაწილობრივ, ფრანგული ცეკვებიც.

კონცერტი (იტალ. შეთანხმება; ლათ. შეჯიბრი) – 1. მუსიკის სახალხო შესრულება. 2. დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ერთ ან რამდენიმე სოლო ინსტრუმენტზე, ორკესტრის თანხლებით.

კრეშენდო (იტალ. *crescendo*) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან გაძლიერება.

კრიმანჭული – გამანჭულ კრინს ნიშნავს; გურულ სიმღერაში მამაკაცის ყველაზე მაღალი ხმაა, ახასიათებს ბგერიდან ბგერაზე სწრაფი მოქნილი მოძრაობა.

ლ

ლაიტმოტივი – მუსიკალური მოტივი, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას.

ლეგატო (იტალ. *legato*) – ბგერების გადაბმულად სიმღერა ან დაკვრა.

ლეზგინკა – კავკასიელი ხალხების – ქისტების, ჩეჩნების, ინგუშების ხალხური ცეკვა.

ლენდლერი – ავსტრიულ-გერმანული ხალხური ცეკვა.

ლოტბარი – მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი.

მ

მაზურკა – პოლონური ცეკვა. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4.

მაჟორი (ფრანგ. დიდი) – მუსიკალური კილო.

მარში (ფრანგ. *marche* სიარული, წინსვლა) – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია რაიმე მსვლელობის გასაფორმებლად. არსებობს სადღესასწაულო, სამხედრო, სპორტული და სამგლოვიარო მარშები.

მეტრი (ბერძნ. *metron* ზომა) – რიტმულ სურათში ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობა.

მელოდია (ბერძნ. მელოდია) – ბგერების თანმიმდევრობა, რომელიც გარკვეულ დასრულებულ მუსიკალურ აზრს გამოხატავს.

მენუეტი – ძველებური ფრანგული ცეკვა.

მეტრი – მუსიკაში ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობა.

მეცო სოპრანო – ქალის საშუალო სასიმღერო ხმა.

მინორი (ფრანგ. პატარა) – მუსიკალური კილო.

მოდერატო (იტალ. *moderato*) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, თავშეკავებული ტემპი, ანდანტესა და ალეგროს შორის.

მუსიკალური თემა – მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

მუსიკალური ფაქტურა – მელოდიისა და თანხლების ერთობლიობა, ასევე, მრავალხმიან ნაწარმოებში ხმების ერთობლიობა. ფაქტურა შეიძლება იყოს შემჭიდროვებული, ბგერი მუსიკალური ბგერით ან პირიქით, გაფანტული.

ნ

ნაწარმოები – ნებისმიერი მუსიკალური თხზულება.

ნოტები – ბგერის სიმაღლისა და ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ნიშნები.

ნევები – მუსიკალური ბგერების აღმნიშვნელი, ნოტების წინამორბედი ნიშნები. აჩვენებდა მელოდიის მიმართულებას, არ იყო განსაზღვრული არც ბგერის სიმაღლე,

არც მისი გაჟღერების ზუსტი დრო.

ო

ოპერა – მუსიკალური სპექტაკლი, სადაც მომღერლები, ორკესტრის თანხლებით, შინაარსს სიმღერით გადმოსცემენ. ოპერაში, შესაძლებელია, საცეკვაო ნომრებიც იყოს ჩართული.

ორატორია (ლათ. *oratorium* სამლოცველო) – ძირითადად, რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

ორკესტრი – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საკრავზე შეთანხმებულად უკრავს.

ოსტინატო (იტალ. „დაჟინებით“, „ჯიუტად“) – რამდენიმე ბგერის ან რიტმული ფიგურაციის გამეორება.

პ

პანტომიმა (ბერძნ. *pantomimos* რაიმეს მიბადებით განსახიერება) – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ.

პარტია – ცალკეული ინსტრუმენტის ან ხმისათვის დანერგილი მუსიკა.

პაუზა – მუსიკალური ჟღერადობის შეჩერება გარკვეული ხნით, ასეთი შეჩერების აღნიშვნა.

პენტატონიკა – ხუთი ბგერისაგან შემდგარი ჩინური კილო.

პიანო (იტალ. *piano*) – ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

პიესა – მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

პიციკატო (იტალ. *pizzicato*) – სიმებიან-ხეშიანი საკრავების სიმებზე თითის გამოკვრით დაკვრა.

პოლკა – ჩეხური ნაციონალური ცეკვა, რომელიც წყვილებში სრულდება. ცეკვის მუსიკალური ზომაა 2/4

პოლონეზი – პოლონური წარმოშობის საზეიმო ცეკვა-სვლა, სრულდება ზომიერ ტემპში. პოლონეზით, ამალღებული და სადღესასწაულო განწყობის შექმნისათვის, როგორც წესი, იწყებოდა მეჯლისები.

პოპური (ფრანგ. სხვადასხვა საჭმლის შერევა) – მუსიკაში პოპულარული მუსიკალური თემების თანმიმდევრული შეწყობილი შესრულება.

პუბლიკა – ხალხი, რომელიც კონცერტს ან რაიმე წარმოდგენას ესწრება.

პიქტოგრამა (ლათ. *pictus* დახატული და ბერძნ. *grapho* ვწერ) – პირობითი ნიშანი, ნახატი.

ჟ

ჟანრი – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა.

რ

რაგა – კლასიკური ინდური მუსიკალური ფორმა.

რეგისტრი (ლათ. *registrum* „სია“) – მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. მუსიკალურ ბგერებს ვაჟგუფებთ დაბალ, საშუალო და მაღალ რეგისტრებად.

რიტენუტო (იტალ. *ritenuto*) – მუსიკის ტემპის შენელება.

რიტმი – მუსიკაში გრძელი და მოკლე ბგერების, ანუ სხვადასხვა გრძლიობების მონაცვლეობა.

ს

სამხმოვანება – ტერციებად დალაგებული, სამი სხვადასხვა ბგერის ერთდროული ჟღერადობა.

სიმფონია (ბერძნ. შეთანხმება, შეწყობა, კეთილხმოვანება) – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ორკესტრი ასრულებს. სიმფონია რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება.

სიმღერა – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან.

სიუიტა (ფრანგ. თანმიმდევრობა) – დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც საერთო შინაარსით გაერთიანებულ რამდენიმე ნაწილს მოიცავს.

სოლისტი (იტალ. *solo* ერთ, ერთადერთი) – შემსრულებელი, რომელიც ნაწარმოებს დამოუკიდებლად ასრულებს ან ნაწარმოებში სოლო პარტიის შემსრულებელი; მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი.

სონატა – ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც იწერება ფორტეპიანოს ან რომელიმე სხვა საკრავისა და ფორტეპიანოსათვის; შედგება ერთი ან რამოდენიმე ნაწილისაგან.

სოპრანო – ქალის მაღალი სასიმღერო ხმა.

სტაკატო (იტალ. *staccato*) – წყვეტილად სიმღერა ან დაკვრა.

ტ

ტაქტი – მუსიკალური ნაწარმოების მცირე მონაკვეთი ერთი ძლიერი დროდან მეორემდე, გამოიყოფა სანოტო სისტემის გადამკვეთი ვერტიკალური ხაზებით (ტაქტის ხაზი).

ტემპრი – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის ჟღერადობის შეფერილობა.

ტემპი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

ტენორი – მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

ტრიო – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება სამი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

ტრიუმფი – 1. საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ძველ რომში გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალსა და მის ჯარს უწყობდნენ. 2. დიდი წარმატებით, გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი.

ტუში – სადღესასწაულო ხასიათის მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც ხშირად ჩასაბერი საკრავები ასრულებენ.

უ

უვერტიურა – ოპერის ან ბალეტის შესავალი, რომელშიც კომპოზიტორი მოკლედ მოუთხრობს მსმენელს ნაწარმოების შინაარსისა და გმირების შესახებ. უვერტიურას ორკესტრი ასრულებს. XIX საუკუნიდან გაჩნდა ე.წ. საკონცერტო უვერტიურები – დამოუკიდებელი საორკესტრო პიესები, რომელთაც ხშირად პროგრამული ხასიათი აქვთ.

ფ

ფაქტურა – მუსიკალური ნაგებობა, რომელშიც აისახება გადმოცემის საშუალებები (მელოდია, თანხლება, პოლიფონია და სხვა).

ფესტივალი – ხელოვნების რომელიმე დარგის (მუსიკის, კინოს, თეატრის) მიღწევათა ჩვენება; ეწყობა პერიოდულად.

ფინალი (იტალ. დასასრული) – ოპერის, ბალეტის ან სონატის და სიმფონიის დასკვნითი ნაწილი.

ფოლკლორი (ინგლ. *folklore* ხალხური სიბრძნე) – ხალხური შემოქმედება, რომელიც

მოიცავს მუსიკას, ცეკვას და ა. შ.

ფორტე (იტალ. *forte*) – ხმამაღლა სიმღერა ან დაკვრა.

ფრაზა – რამდენიმე მოტივისგან შემდგარი მუსიკალური ნაგებობა.

ქ

ქორალი – საეკლესიო გალობა, სასულიერო მუსიკის სახეობა. ძირითადად, ნელ ტემპში, თანაბარი გრძლიობებით აგებული ნაწარმოები. არსებობს საორგანო და საფორტეპიანო ქორალები. (მაგ., იოჰან სებასტიან ბახის საორგანო ქორალები, რობერტ შუმანის საფორტეპიანო პიესა „ქორალი“).

შ

შემსრულებელი – ადამიანი, რომელიც მუსიკას ასრულებს.

ც

ცეკვა – მუსიკალური ჟანრი, რომელშიც სხეულის მოძრაობა მუსიკის თანხლებით გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს.

ციკლი (ბერძნ. წრე) – მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით, კონტრასტის პრინციპით არის წარმოდგენილი.

ჯ

ჯაზი – პროფესიული მუსიკის სახეობა, რომელიც ზანგური ფოლკლორის საფუძველზე აღმოცენდა ამერიკაში.

პ

ჰანგი – სიმღერა, მელოდია.


ჰომოფონია – მრავალმხმიანი მუსიკა, სადაც წამყვანია მელოდია, რომელსაც დანარჩენი ხმები უწევენ თანხლებას.

პროგრამა LMMS-ის მოხმარების ინსტრუქცია




ჩავრთოთ პროგრამა LMMS და დავანკაპოთ ლილასს . გამოჩნდება პანელი, სადაც სემპლების ჩამონათვალია მოცემული.


ჩამონათვალი არჩეულ სემპლზე ორჯერ წკაპით მოხდება მისი ჩასმა პროგრამის ზედა მარჯვენა კუთხეში (იხილეთ ზედა სურათი).



მარჯვენა კუთხეში არსებულ სემპლის სახელის გასწვრივ ორჯერ დანკაპებით გამოვა ფანჯარა, სადაც C5-ის ქვედა მეორე გრაფაში, კლავიშის გასწვრივ, პატარა შავ ოთხკუთხედზე ვანკაპებთ და ვსვამთ სემპლს. მოხდება მოცემული ფრაგმენტის გამწვანება. ეს არის ყველაზე ოპტიმალური მდებარეობა, თუმცა შესაძლოა სემპლის ჩასმა ნებისმიერ სხვა რეგისტრში.



ჩასმული სემპლის ჩართვა ხდება დაკვრის ლილაკზე (1) წკაპის მეშვეობით, გათიშვა – გათიშვის ლილაკის მეშვეობით (2). აქვე გვაქვს საშლელიც (3), რომელიც შლის ზედმეტად ჩასმულს და ფანქარი (4), რომლითაც ვამატებთ იგივე სემპლს.



სემპლების გადაადგილება ხდება მასზე წკაპით და მაუსის მოძრაობით. შესაძლოა ფერების შეცვლაც.




იმისათვის რომ ჩასმული სემპლი საერთოდ წავშალოთ მოცემული არიდან, უნდა დავანკაპოთ



და ამოვირჩიოთ ბრძანება Remove this track.



Project მენიუზე წკაპით, ჩამონათვალში ავირჩიოთ import, დამატებით შემოვიტანოთ ჩვენს კომპიუტერში არსებული ნებისმიერი განსხვავებული. wav ფაილი და ისიც წინას მსგავსად ჩავსვათ.




ამ შემთხვევაში შეგვიძლია გავზარდოთ სემპლის ხანგრძლივობა. სემპლის ბოლოში მივიტანოთ მაუსი, გამოჩნდება ისრები, დავანკაპოთ და ხელაულებლად გავწიოთ. გავითვალისწინოთ, რომ ყველა სემპლის გაზრდა არ არის შესაძლებელი.



ჩვენ ასევე შეგვიძლია ჩავრთოთ რომელიმე კონკრეტული სემპლი და დანარჩენი სემპლების ხმა დროებით გავთიშოთ – მარცხენა მხარეს ორ ოთხკუთხედზე წკაპით.





ამის შემდგომ შევინახოთ პროექტი: Project მენიუზე წკაპით, ჩამონათვალში ავირჩიოთ Export, გამოვა ფანჯარა, სადაც სახელის არეში (File name) მივუთითებთ ნებისმიერ საახელს და save ღილაკზე წკაპის მეშვეობით შევინახავთ.






სემპლის ჩაწერა

დავანკაბოთ პიქტოგრამაზე – „ჩემი კომპიუტერი“ (My Computer) და შევიდეთ: C:\Program Files (x86)\LMMS\data\samples.



samples-ში შესვლისას შეგიძლიათ შექმნათ ახალი საქალაქი (New Folder) და მასში ან samples-ის საქალაქის ცარიელ არეში ჩააკოპიროთ თქვენს კომპიუტერში არსებული სემპლების.wav ფაილები. ახალი საქალაქის შექმნის შემთხვევაში, სემპლები LMMS პროგრამაშიც დაჯგუფებულად, მონესრიგებულად გამოგიჩნდებათ.






როდესაც გაიხსნება სემპლის საქალაქი, შემდგომ მოვინიშნოთ დასამატებელი სემპლი, მაუსის მარჯვენა ღილაკზე წკაპით გამოვიძახოთ კონტექსტური მენიუ და ავირჩიოთ ბრძანება Copy. გადავიდეთ სემპლების საქალაქში და ცარიელ ადგილას კვლავ გამოვიძახოთ კონტექსტური მენიუ და Paste ღილაკზე წკაპით ჩავსვათ დაკოპირებული სემპლი.


პროგრამა Audacity-ის მოხმარების ინსტრუქცია




1.




2.



3.




4.




5.




6.



7.



8.



9.

